"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 8 (274) 23 აგვისტო, პარასკევი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.





რედაქციამ ამ რეზოლუციას 2003 წლამდე მოაწერა ხელი

## სააკაშვილი-ბოკერიას დამნაშავე რეჟიმი უნდა გასამართლდეს

### ნეოფაშიზმის ნარჩენები უნდა გავისტუმროთ საქართველოს პოლიტიკური არენიდან

მე-2-გვ

## ჩვენი თანაქალაქელები გუბერნატორებად დაინიშნენ:




სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გუბერნატორის პოსტზე ალექსანდრე მოწერელია დაინიშნა. როგორც მთავრობის მეთაურმა - მამუკა ბახტაძემ განაცხადა, ალექსანდრე მოწერელია სახელმწიფო სტრუქტურაში კერძო სექტორიდან მოდის. „მას აქვს ძალიან საინტერესო ბიზნეს-პროექტების გამოცდილება სოფლის მეურნეობაში. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ რეგიონებში ეკონომიკის ინკლუზიური ზრდა და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში ის შეძლებს თავისი წვლილის შეტანას.




ამასთან, პრემიერ-მინისტრის განკარგულებით გურიის გუბერნატორად დაინიშნა ზურაბ ნასარაია, რომელიც მუშაობდა რკინიგზის დეპარტამენტში. რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია.

ჩვენს თანაქალაქელებს ვუსურვებთ წარმატებებს ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

## ვუპატრონოთ დედა-ისტორიას

### ბრძოლა იბერიულ ცივილიზაციასთან დღემდე გრძელდება

მე-5-გვ

## ღოესასნაულს ხალხი მაითავს...



### "ფაზისობა-2018"-ის შესახვედრად

მე-5-გვ



## „სოტნეობა" 2018

### ზნეობრივი გმირობის უკვდავი მაგალითი

დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის

მე-3-გვ

## ქალაქის მერი, ბატონი გოჩა კურდღელია ჰიდროკვანძზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო



ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია , მოადგილეებთან მამუკა პაპასკირთან და ირაკლი თოფურიასთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „საქართველოს მელიორაციის" დირექტორს არჩილ ბუკიას შეხვდა. ისინი მდინარე რიონის წყალგამყოფ ნაგებობაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს გაეცნენ.

ნაგებობის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. რემონტდება წყალგამყოფი კაშხლის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები, ახლით გამოიცვალა ამორტიზებული ელექტროტექნიკა. პროექტი მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოს დასრულდება.

სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციისთვის 1 367 815 ლარია გამოყოფილი და სამუშაოებს კომპანია „ერისიმედი" ახორციელებს.



## 8 აგვისტო ფოთში 10 წელი რუსეთ-საქართველოს ომიდან - დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს

აგვისტოს ომს სამეგრელოდან 37 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა

## წარმატებული ქალი ჩვენი ქალაქიდან



### ნინო ქანტურია-მკურნალი, მეცენატი და მოქალაქე...

მე-5-გვ



## შეხვედრა პოეტთან, ტარიელ ხარხელაურთან

მე-6-გვ

## ფილმი აფხაზეთის ომზე



### „მტერი ჩემი - ძმა ჩემი"

გამგებმა გაიგოს

მე-5-გვ

# რედაქციამ ამ რეზოლუციას 2003 წლამდე მოაწერა ხელი

## სააკაშვილი-ბოკერიას დამნაშავე რეჟიმი უნდა გასამართლდეს

,, ვაჰ მე, რა მეტად ბევრს უჭირს,
ვახ, რა ბევრია ტანჯული!
როგორღა ხარობს სხვის ტანჯვით
გულგაყინული მსაჯული!.
ვაჟა-ფშაველა

სქართველოს პრეზიდენტი - ისევ სააკაშვილის პარტიიდან? ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს!




თუ ეს მართლაც საუკუნის დამნაშავეები, - ეს მოღალატეები არ დაისაჯა, საქართველოს მომავალი არ უწერია და არავინ იცის როგორ შემობრუნდება ჩვენი უკუღმართი ცხოვრების პოლიტიკური ბორბალი.

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის წამოწყება - შეფასდეს სააკაშვილ- ბოკერიას რეჟიმი, ერთგვარ რეფერენდუმად იქცა. იგი ქართველი ხალხის ღირსების აღდგენას უკავშირდება. არ შეიძლება საუკუნის დამნაშავეები, - ქვეყნის მძარცველ დამანგრევლები დაუსჯელი იყვნენ და მეტიც - პარლამენტში ისხდნენ და მორალს გვიკითხავდნენ, დაკითხვას უწყობდნენ პროკურორებს და უსამართლობაზე წუხდნენ, ეს დაცინვაა ქვეყნის დემოკრატიის, თვალში ნაცრის შეყრაა, რეზოლუცია- ,,ნაცების" რეჯიმად შეფასების თაობაზე ერთგვარი მესიჯია ,,ოცნების" და ხელისუფლებისადმი, თუ ისინი არ დაეთანხმებიან ათასობით ხელმოწერას, ხალხი თვითონ გამოუტანს განაჩენს იმათ, ვინც დაანგრიეს ქვეყანა- გააუბედურეს ადამიანები, ათასობით კაცი უსამშობლოდ დარჩა, აღარც საზღვარგარეთ აჩერებნენ და არც სამშობლოში დაედგომებათ- სახლები ბანკებმა გაუყიდეს. ,,ნაცმოძრაობამ", როგორც ნეოფაშისტურმა რეჟიმმა, პასუხი უნდა აგოს ათასობით დაღუპულთათვის, დანგრეულ ოჯახებისთვის, არშემდგარი ოჯახებისთვის, ადამიანთა გამათხოვრებისთვის, სულიერი დეგრადაციის, ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლის და ა.შ. და ვინც ცდილობს ან შეეცდება მათ მხარდაჭერას, საკადრის პასუხს მიიღებს, ვიდრე ქვეყანაში ,,ნაცები" ოპოზიციად რჩებიან, პარტიულ - პოლიტიკური ცხოვრება აბსურდის თეატრს ემგვანება.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია უერთდება აქციას პარლამენტის მიერ ,,ნაცების" რეჟიმის, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმის შეფასებასთან დაკავშირებით, თუმცა, აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ პოზიციას ჯერ კიდევ 2003 წლის ,,ვარდების რევოლუციამდე" მოვაწერეთ ხელი, როცა ვაფრთხილებდით ქვეყანას- ,,გიჟი მოდის"! ამას მოყვა სტატიების სერია, მთელი 15 წლის განმავლობაში და დღემდე ვაგრძელებთ ბრძოლას. ცხადია, უპასუხოდ არ დაგვტოვებდნენ გაზეთ ,,ფოთის უწყებანს", რომლის მემკვიდრეებიც ვართ ჩვენ. სოციალურის გადაუხდელობის -( 7 ათას ლარი) გააჩერეს, როცა მილიონები ჩამოაწერეს ტელევიზიებს. რედაქციის 27 თანამშრომელი ქუჩაში დარჩა, ზოგი დღესაც უბინაოდაა, მოგეხსენებათ ყველა ბანკს არის მიბმული.

გაზეთი გამოდიოდა კვირაში სამჯერ, რაც საქართველოს მასშტაბით იშვიათობა იყო. რედაქციის დარჩენილ ფართში, რომლის რემონტზე ათიათასები აქვს გადახდილი რედაქციას თავისი დანაზოგიდან, არჩევნების წინ ჩვენი კაბინეტები ,,ნაცების" მომხრეებს სიმბოლურ ფასად დაურიგეს. ამ დროს, როგორც გითხარით, რედაქციის მუშაკები, ორდენოსანი ჟურნალისტები ქუჩაში უბინაოდ დარჩნენ, მაგრამ კანონი არ დაურღვევიათ და შენობაში არ შემოჭრილან, ამაზე ადვილი რაა, არ იფიქრონ შურისძიება გვამოძრავებს, არა-ხალხის გამწარებისთვის ვთხოვთ პასუხს ამ მართლაც ტვინშეტრიალებულ ადამიანებს, რომელთათვის არავითარი ღირებულება არ არსებობს ამ ქვეყანაზე, რისი სამშობლო, რისი ხალხი, რისი ღირსება, სინდის-ნამუსი, ესენი დღესაც აგრძელებენ ნგრევას და თვალი ხელისუფლებაში დაბრუნებაზე უჭირავთ, ამას არც ,,ოცნებას" და არც ივანიშვილის არ აპატიებს ქართველი ხალხი, რომელიც ჯერკიდევ სულდგმულობს მტრის ჯინაზე და კიდევ შემორჩა ბრძოლის ნიჭი.

რაც შეეხება ჩვენს ქალაქს, სააკაშვილმა ფოთს გადაუკეტა მთავარი არტერია-ნავსადგური ერთი ამწის ფასად გაუყიდა, ქალაქში განვითარებული იყო ყველა დარგი, გემთმშენებლობა, თევზრეწვა, მანქანათმშენებლობა და ა.შ.

ქალაქი მიწასთან გაასწორეს, რაც ,,ნაცებმა" გაუკეთეს ქვეყანას, თუ ესაა ევროპისა და ნატოს გზა, არც ერთი გვინდა და არც მეორე, ჩვენ თავს მივხედავთ როგორმე, დავით აღმაშენებელს არც ევროპა ყავდა და არც აშშ.

ყოველი გაჭირვების ჟამს დიდკაცს ღმერთი უგზავნიდა ქვეყანას.

ჩვენი გაზეთის რედაქცია აწერს ხელს ამ რეზოლუციას.

,,ნაცების" მმართველობის პერიოდის, როგორც რეჟიმის შეფასებას, მაგრამ მას ჩვენ 15 წელია ვითხოვთ, ასობით სტატია დევს, როგორც უტყუარი ფაქტი.

ვინც დღეს ისევ ,,ნაცებს" უჭერს მხარს, ან გონიერი მტერია, ან უგუნური მოკეთე და თუ ვინმეს მეხსიერება ღალატობს, შევახსენებ თუ რა დანაშაული ჩაუდენია რეჟიმს, რა თქმა უნდა თეზისების სახით, თორემ ამათი არაკაცობა ათასობით ტომს მოიცავს.

არ შეფასდა 1990 წლის სახელმწიფო გადატრიალება-მივიღეთ ნეოფაშიზმი,- თუ ამასაც არ შევაფასებთ -კიდევ რა გველის?

# ნეოფაშიზმის ნარჩენები უნდა გავისტუმროთ საქართველოს პოლიტიკური არენიდან

,,ნაცმოძრაობამ", ანუ სააკაშვილის ბანდის მოძრაობამ (რა შუაშია ნაცია, ხალხი აქ, შირმა, ნიღაბი) ქვეყანა გააუბედურა, დააქცია და ეს ნგრევა დღესაც გრძელდება, ღია თუ ფარული მხარდამჭერები შინ და გარეთ საკმაოდ ყავს, ეს ვერ გაითვალისწინა ივანიშვილმა, ვერც ის გათვალა, რომ ბევრი შინ და გარეთაც ,,ნაცებს" არ ჩამორჩება ნგრევაში, ასე რომ, ამათ ხელში კიდევ კარგად ვართ გადარჩენილი, თუ კიდევ რამე უბედურება არ დაგვატეხეს თავს. რამდენადაც ხალხი ამათი ამრჩევი არაა, რამეთუ არ შეიძლება ამ უბინძურესი წარსულის დავიწყება.

ახლა მოუხმოთ პოლიტიკურ მეხსიერებას, რა უბედურება დაატეხა თავს ქვეყანას სააკაშვილის რეჟიმმა, სახელმწიფო, იგივე ხალხის ქონება გადაინაწილეს, ქვეყნის ეკონომიკა მათზე მუშაობდა, ბიზნესის რეკეტი, დაჭერები, ლამის ნახევარი საქართველო ციხეში ჩასვეს, კაცები გააუპატიურეს, მთელ ქვეყანას ღირსება აყარეს, ათასობით კაცი, განსაკუთრებით ქალები, დედები საზღვარგარეთ გადაიხვეწა, დაინგრა ოჯახები, ისედაც გადაშენების გზაზე მყოფ ერს ნულოვანი ტოლერანტობით ასობით ახალგაზრდები ჩაუხოცა, შემდეგ ათასობით ნაწამები ადამიანები და ამათზე გადაღებული ფირები, ფარული ჩანაწერები, შეტევა მართლმადიდებლობაზე, ეკლესიაზე, რწმენაზე, ზნეობაზე, გარყვნილების პროპაგანდა, რუსეთთან ვითომ პატრიოტიზმის ეგიდით წამოწყებული ომი და დაკარგული ტერიტორიები. გაიყიდა ქვეყანა, სამაგიეროდ მილიონები მიიღეს რუსეთის გამოაშკარავებისათვის, არადა, რუსეთს მიჰყიდეს სტრატეგიული ობიექტები. რუსეთის ამბიციები ისედაც იცის მსოფლიომ, რაღა ომი უნდოდა. სომხები, აზერბაიჯანლები, ყაზახები, უზბეკები, და ა.შ. თავს უფრთხილდებიან, პატრიოტიზმით არ ვაჭრობენ, არ თამაშობენ, ქვეყანას არ ანგრევენ, არადა, რაც ,,ნაცებმა" 9 წელი ქვეყანას უყვეს, როგორ გინდა დაიჯერო, რომ ამათ NATO-თი ქვეყნის გადარჩენა უნდოდათ, რაც მათ ხალხს უყვეს ჰიტლერსაც არ მოსვლია აზრად. იყო სისტემური დანაშაულის კასკადი და უზნეოთა ზეიმი, დაშინებული, ღირსებააყრილი ხალხი, გირგვლიანები (დედაც გადაყვა) ვაზაგაშვილები, (მამაც მოკლეს). ციხეში ახალგაზრდების ჩახოცვა. ნაწამები, პატრიოტი კაცი სულხან მოლაშვილი, პოლკოვნიკი თეთრაძე და 2007 წლის 7 ნოემბერს ნაცემი ხალხი, 2011 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულზე ჩახოცილები, კიდევ რამდენი რამ ჩამოვთვალოთ ამ ტირანთა-მანიაკთა, სადისტთა და შიზოფრენიკთა ,,მოღვაწეობიდან". ყოველივე ამას დიდად არ შეუწუხებია დემოკრატიული ევროპა და მთავარი მეპატრონე და გზამკვლევი - ამერიკელები, ადამიანის უფლებათა დამცველები. არადა, სამ მილიონიან საქართველოში 300 ათასი კაცი გაასამართლეს, ნუთუ, ყველა ქვეყნის მტერი და დამნაშავე იყო. ამ ხელისუფლებასთან შედარებით ხომ ყველა ანგელოზი იყო.

ნუთუ, საბოლოოდ ხალხმა არ უნდა გამოუტანოს განაჩენი და დიდი სასამართლო არ უნდა მოუწყოს ამ კაციჭამიებს, სადისტებს, მკვლელებს.

ეს არჩევნები კი არა, პოლიტიკური განაჩენი უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა და არც მისცემენ ამის საშუალებას, არადა, ,,მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შეჰღაღადებს და სამართალს ითხოვს"- ვინც ისევ ნეოფაშისტებს აძლევს ხმას, ხმას აძლევს ერის განადგურებას, ტირანიის გაგრძელებას, ამას ქართველი ხალხი არ დაუშვებს და თუ დაუშვა ის ფიზიკურად, სულიერად, ზნეობრივად განადგურდება.

გაიხსენეთ სისხლიანი წლები და თუ ამის შემდეგ ნაციონალებს ახალ პარტიებად რომ გაიშალნენ აირჩევთ, მხარს უჭერთ საქართველოს მტრებს, მკვლელებს და არც კაცი და არც ღმერთი ამ ცოდვას არ გაპატიებთ.

აი, რისთვის უნდა გასამართლდეს სააკაშვილი და არა რაღაც კოსტუმებისთვის. ის რომ სააკაშვილის ნეოფაშისტური რეჟიმი არ გასამართლდა, ცუდად დაუბრუნდა ქვეყანას და არავინ იცის წინ რა პრობლემები გველის. პარტია, რომელმაც ნეოფაშისტები ჩამოაგდო უნდა გაძლიერდეს და უნდა გაემიჯნოს ყოველგვარ კოჰაბიტაციას. არ უნდა მოდუნდეს, თორემ ლამისაა უარესი გინება დაიმსახუროს ამ ვითომ ოპოზიციისაგან. ,,ოცნებამ" მეტი ფხა უნდა გამოიჩინოს და თვითკმაყოფილებას არ უნდა მიეცეს და იმოქმედოს ვითომ ოპოზიციის წინააღმდეგ, ასე 30 წელია თავზე დაგვექცა ქვეყანა. სულ შეცდომებით ვიარეთ, დემოკრატია ბიზნესად არ უნდა ვაქციოთ, ხალხი ერთ დღეს გამოფხიზლდება და დაიქუხებს. მხოლოდ ის, რომ მშვიდობაა და ადამინებს ძველებურად ნაციონალებივით არ ექცევიან ეს არ კმარა; სოციალურად მძიმე ვითარებაა, რა დროს პრემიებია, რა დროს სოციალური დანამატების მოხსნაა, ღატაკებისთვის უსუსური საბაბით -მაცივარი გქონია. თუ ქვეყანას ეშველება, მტერიც უნდა გამოიყენო, დრო უნდა შეარჩიო. სააკაშვილისთვის იმიტომ არაა მტერი რუსეთი, რომ საქართველოს მტერია, ამით სპეკულირებს, ფულს იღებს ამერიკელებისაგან, ომითაც ისევ რუსეთის საქმეს აკეთებს. ჩააბარა ლამის ნახევარი საქართველო, ახლა კი წამებულის მანტიას ირგებს და ვინ იცის რამდენ თავისტკივილს გაგვიჩენს.

ჩვენ კი აქ ერთმანეთს ვებრძვით ძალაუფლებისთვის. რუსეთსა და ამერიკას თავისი ინტერესები აქვს, შენ შენს ქვეყანას უნდა მიხედო და თავზე არც ერთი და არც მეორე არ უნდა დაისვა, მერე რა რომ გემხრობიან, რის ფასად-თუ ცხოვრებამ გიკარნახა და საქმე არ გამოგივიდა, რად გინდათ ასეთი დახმარება. ხალხი გარბის, რა მნიშვნელობა აქვს ტერიტორიებს ომით წაგართმევენ თუ უომრად დაგატოვებიებენ.

ფრთხილად ქართველებო! მიხედეთ ქვეყანას. ერთი აზრით, ერთი მიზნით მივაღწიოთ და აღვასრულოთ საქართველოს სულიერი მისია.

**ვიდრე ქვეყანა არ შეაფასებს 1990-1991 წლების მოვლენებს, სანამ არ გავასამართლებთ სააკაშვილის ბანდას არაფერი გვეშველება.**

,,ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი".

ღმერთო ქართველებს შეაყვარე საქართველო.

# ფოთელები ბრალს დებენ

## ის, რაც არ წაიშლება მეხსიერებიდან რეჟიმის კვალი დიდხანს გაყვება ჩვენს ცხოვრებას



სააკაშვილის ,,ხელისუფლებამ," გაგვიყიდა პორტი ფოთელებს და ტერმინალად აქცია საქართველოს საზღვაო კარიბჭე, საჩუქრად მიაყოლა 300 ჰექტარი ზღვისპირა მიწა, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და რომლის ღირებულება ასეულმილიონებს შეადგენს.

გააუქმა წისქვილ ქარხანა, რომელიც ერთადერთი იყო დასავლეთ საქართველოში და მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებდა.

ასევე გააუქმა საზღვაო ვაგზალი, ერთ-ერთი ულამაზესი ზღვისპირა კერა გართობისა და დასვენებისათვის. ლარებში გაიყოდა სტრატეგიული ობიექტები.

მოიშალა წამყვანი დარგები.

გააუქმა ბევრი საწარმო. ყველა ბიზნესმენი დაიჭირეს და ათასობით გამოსასყიდი თანხით სამუდამო ვალში ჩატოვეს.

მოშალეს მორალური ატმოსფერო, სიღარიბე, შიში, ტერორი გახდა მართვის მეთოდი.

არცერთი ფოთელი თანამდებობას არ გააკარეს.

მოშალეს ინფრასტრუქტურა, ქალაქი დაამგვანეს სოფელს.

რატომ? რატომ? რატომ?

**ამის შემდეგ ისევ მისცემთ ხმას უმიშოდ დარჩენილ ნაცბანდას, ისევ რომ მისი დაბრუნების მოლოდინში არიან?**

ომი გრძელდება

# 2008 აგვისტოს ომი - გაკვეთილები დამპყრობლის და ,,მოყვარე" ხელისუფლების გამო

## რუსეთმა საქართველო დაიპყრო მაგრამ, აფხაზეთი-ოსეთი არ დაიპყრო?



თუ რატომაა ერთიც და მეორეც საქართველოს და ქართველი ხალხის მტერი, ძნელი გასაგები არა რუსეთმა საუკუნეების წინ დაიპყრო სრულიად საქართველო, 2008 -ში თითქმის სანახევროდ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ცოტა ჩვენ წავეშველეთ უგუნურებით და წინდაუხედაობით, რამდენადაც ძნელი დასაჯერებელია სააკაშვილი-ბოკერიას სამშობლოს სიყვარული არ ასვენებს და დღედაღამ ხმალზე უჭირავთ თვალი, აქაოდა ჩვენ მიწას არავის დავანებებთ, არადა, თუ რამ გაგვაჩნდა ომამდე, რუსებს მიყიდეს.

მოკლედ, გვიანია ახლა ამაზესაუბარი, შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, ჩვენ ჩვენს მიწაზე ვიბრძოდით, მაგრამ ჩვენს ტერიტორიაზე ჩვენებისთვის არ უნდა დაგვეშინა გრადები, რაც არ უნდა პროვოკაციაზე მიდიოდეს მტერი, ასეთ პროვოკაციაზე ის კიდევ წამოვა, მაგრამ რაღაც ჩვენ უნდა გავთვალოთ და ჭკუით უნდა ვაჯობოთ. ქვეყანა უნდა დავალაგოთ, თორემ დარჩენილი ტერიტორიებიდან გარბის ხალხი, ქვეყანა უნდა გავაერთიანოთ, გავაძლიეროთ, ისე, რომ მტრებმა 2-3 დღეში არ შემოაღწიონ ქვეყანაში. ბევრი თავსატეხი გავუჩინოთ მეგობარი ქვეყნების დახმარებით და მონაწილეობით. რუსებმა საქართველო დაიპყრო, მაგრამ აფხაზეთი-ოსეთი არ დაიპყრო-ხომაა ეს პარადოქსი, რა კარგ დღეში არიან?! ერთმა გიჟმა ომი დაიწყო ქვეყანა რა შუაშია, რუსსაც ხომ ეს უნდოდა და წლების წინ ემზადებოდა.

ომი გრძელდება, დღესაც ადამიანები ვერ ბრუნდებიან მშობლიურ კერაზე, ახალგაზრდების უამრავი სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს.

# ,,ცოტნეობა"- 2018
# ზნეობრივი გმირობის უკვდავი მაგალითი
## დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთან არის



ცოტნეობა დიდი საერო-საეკლესიო დღესასწაულია. ეროვნულობის დიდი ნიშანსვეტი, ისტორიული მეხსიერება უნდა უფრთხილდებოდეს იმ მარადიულ ფენომენს თავდადებისა, რომელმაც აქამდე მოიყვანა საქართველო, როგორც სახელმწიფო, ერი, ქვეყანა. ,,ცოტნეობა" ,,დიდგორობას" იმართება, რა დიდებული დამთხვევაა - სულიერი, ზნეობრივი და საბრძოლო გმირობის.

საქართველო, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ ფაქტორებს წინა პლანზე უნდოდა წამოწევა, მაგრამ ასე არ მოხდა, დაიწყო ქვეყნის ქონების დატაცება-დაპატრონება და სახელმწიფოებრიობის მოშლა ისევ ქართველების მიერ. ქვეყანა სულიერებამ, კულტურამ უნდა გადაარჩინოს და იგი საუკუნეებიდან მოდის-ეს არის საქართველოს ღვთიური გზა.

12 აგვისტო, ფოთი, სამეგრელოს მოედანი, ცოტნე დადიანის მონიმენტური ქანდაკება- ლეგა არწივი მაღლა - ეწევა მხედარს.

ტრადიციულად ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრები მის პრეზიდენტის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით ამ დღეს გვირგვინით ამკობენ ძეგლს, რითაც პატივს მიაგებენ წმინდანის უკვდავებას.

სამახსოვრო სურათები,-მარადიული ფოტოები, გაჩერებული დრო...

შემდეგ ,,ფაზისის" აკადემიის წევრებმა ქრისტეს აღდგომის ტაძარში გადაინაცვლეს, სადაც ცოტნე დადიანის ხატთან სურათები გადაიღეს და სანთლები დაუნთეს დიდ წინაპარს.



აღსანიშნავია ისიც, რომ ,,ფაზისის" აკადემიის პრეზიდენტის, ბატონ ნუგზარ ნადარაიას ინიციატივით წმინდანად შერაცხეს ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი.

ზნეობრივ გმირობას, თავგანწირვას, საუკუნეები გვაცილებს, რა შორს და რა ახლოსაა წარსული-ცოტნე დადიანივალმოხდილი, მისი უკვდავი სული ტრიალებს დაღლილ საქართველოში-სამშობლოს სიყვარული, რომ მიავიწყდათ, არადა, როგორ იბრძოდნენ საქართველოს ერთიანობისთვის. დღეს ერთიანობა, ერთი მიზანი, ქვეყნის გამარჯვების აუცილებელი პირობაა, ერი, რომელიც წარსულს ივიწყებს - კვდება! ჩვენც სიკვდილის პირას ვართ, სულს ვლაფავთ- ,,ენა მამული, სარწმუნოება" სამივე მიმართულებით მიდის შეტევა შინაური მტრების მიერ, თითქოს ეს უფრო ნაკლები ბრძოლაა, ვინემ ტერიტორიების დაბრუნება, ტერიტორიებს კარგა ხანია ტოვებენ ქართველები, სწორედ იმიტომ, რომ სულიერება დამარცხდა - გვიჭირს ამის აღიარება.

საქართველოში ცოტნეს სულისკვეთება არ უნდა დაიკარგოს.

ღმერთმა გვიმრავლოს ცოტნეიდელები - სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველები.

გვფარავდეთ წმინდა გიორგი!

ზურაბ 599 16 89 99 ნუგზარ ნად

ფოტოები ზვიად ჯაჯავასი 598 282805

# გულნაზ გვალია- ,,ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი

ვუძღვნი ნუგზარ ნადარაიას

## კოლხეთი-საქართველოს სისხი

ამ მიწას ასდის კოლხის სურნელი
და ხსოვნას მოაქვს დროთა ვარამი,
მესმის,თუ როგორ გმინავდა ერი,
როგორ გვრისხავდა მტრის წკვარამი.
ვუმზერ აიეტს,რომ დგას ცის თაღთან,
ღელავს, ვით ბავშვი, გზასაცდენილი
და ხმალს არისხებს კოლხი ვაჟკაცი
ამ მიწის სულად წარსულს შთენილი.
ვხედავ, მის გვერდით თუ როგორ მორგავს
აჩრდილი ქუჯის, ბრძენი მეფისა,
თუ როგორ ოხრავს,თუ როგორ შფოთავს
სული უძლევი, კოლხი მხედრისა.
ჩამესმის ,,ნანა" მედეას მოდგმის,
ცრემლად იღვრება ლოცვა დედისა,
ლოცვას იხოკავს, კივის წარსული:
-გამოდარება აღარ გვეღირსა.
ო, ვაი ნანა, დიდოუ ნანა,
ფეხდაფეხ გდევს ეძო ხვედრისა,
გოლიაფირი, გოლიაფირი,
მჯიღს გულში იცემს, ფეთქვა მკერდისა.
ხვიჩას ხმა მესმის, ხმა განწირული,
გმინავს: -სამშობლო აღარ მეღირსა,
ზანზარებს კიდე იმიერ დროთა
და დროს აყრუებს გრგვინვა მეხისა.
ლაზი ფარცაზი მდუმარედ გვრისხავს,
ვერ ცნო მამული,ზეცა ესხვისა,
ღირსება მოსავს ქართულ დიდებას
კოლხური მოდგმის უკვდავებისა,
გუბაზ მეფისგან რწმენად შემოგვრჩა
თავისუფლება კოლხთა ნებისა.
,,ნუთუ, ტყუილად დავიხოცენით,"-
მოგვძახის სული ქუჯი მეფისა.
ვხედავ, ამოდგა დღეს სასულეთი,
ზანზარებს თაღი კოლხური ცისა,
და წინაპართა სულთა ძახილი
გალობად იქცა გარადაცვლილ მზისა,
ეჰე,ჰე,ჰეი, მოგელავს ცოტნე,
ჩამესმის თქერი თეთრი ცხენისა
და თაფლწასმული შიშველი გმირი
აღსდგა მშველელად კოლხი ძმებისა.
ცოტნე აქ არის,აქ არის ქუჯიც,
ისევ გვიდგება დრო დიდებისა,
გაცოცხლდა გმირთა უზადო სული,
კოლხეთის მიწას შემოეხიზნა.
ო, ვაი ნანა, დიდოუ ნანა,
ეს გოდებაა ქართველის სვედისა,
ოჰოი,ნანა,ო,ვაი,ნანა,
გმინვაა სულთა, წარსულეთიდან,
ვავაი ბაბა, ვავაი ბაბა,
მიწა ბუბუნებს აფხაზეთიდან,
ვავაი ,დედა, ვავაი, ნანა,
ჭრილობა გოდებს ლაზარეთიდან,
ო,ვოი, ვავა, ო,ვოი, ვავა,
საკუთარ ჭერქვეშ ვიქეცით ხიზნად.
საიქიოდან აღზევებულნო,
ძალა მოგვეცით გამარჯვებისა,
მიღმიეთიდან ისე დასჭექეთ,
ბჭენი დაიმსხვრეს უკუნეთისა.
ცახცახებს ფეხქვეშ კოლხეთის მიწა,
ახალ სურნელს ვგრძნობ დამადებისა,
ცოტნე ლაშქართან შემოაგელვებს,
მზე გათენდება აღდგომის ცისა.
ავაი ნანა, დიდოუ ნანა,
ეს გალობაა აღზევებისა!
სულთა სამყარო ციდან ეშვება,
და თასი მოაქვს უკვდავებისა,
ჰე, საქართველო, ფრთები გაშალე,
მოდის ლაშქარი კოლხი ძმებისა!

## ვუპატრონოთ დედა-ისტორიას

# ბრძოლა იბერიულ ცივილიზაციასთან დღემდე გრძელდება

კაცობრიობის მრავალათასწლიანი ისტორიის მანძილზე (დღიდან გაჩენისა დღემდე) ცივილიზაციასთან ბრძოლა არცერთ ეტაპზე არ შეჩერებულა, ერთნი ქმნიდნენ და ამკვიდრებდნენ კულტურას, მეორენი, (სხვადასხვა ეპოქებში) ითვისებდნენ, ჩქმალავდნენ, ანადგურებდნენ პირველის, შემოქმედის ჭეშმარიტ ისტორიულ ძეგლებს, (რეალურ ფაქტებს) განსაკუთრებით ეს ბრძოლები მიმდინარეობდა (და იგივე ტემპით მიმდინარეობს დღესაც) იბერიული ცივილიზაციის წინააღმდეგ, რომელიც გახლავთ შემოქმედი (პირველი წყარო) უდიდესი ისტორიის და კულტურის. წყარო განათლების, განვითარების, აღმშენებლობის, მითოსისა და მითოლოგიური ღმერთების, ტიტანების, გმირების, ასტრონომიისა და ასტროლოგიის; მედიცინისა და ღვთის ანბანის შემქმნელები და დღემდე ჩვენამდე მოუღწეველი, გამქრალი ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგები, ლაზურ ენასთან ერთად! მიზეზი გაუჩინარებისა ის გახლავთ, რომ ხელთ არ ეგდოთ ველური აზროვნებისა და მტაცებვური ჟინით შეპყრობილ, გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომ ინდოევროპულ მოდგმას ზე უნივერსალური კანონი ღვთისა და ლაზმა მამებმა განჭვრიტეს არსებული საშიშროების შესახებ და საგულდაგულოდ დაფლეს (დამარხეს), ღვთის მიერ მომადლებული ზეუნივერსალური ცოდნა სამყაროსა და კაცობრიობის შესახებ, მაგრამ ის, რაც ხელთ იგდეს ინდოევროპელებმა და მიითვისეს, ნათელ მაგალითს გვაძლევს თუ როგორ ამოაბრუნეს მსოფლიო ძალადობით! შეიქმნა გლობალური დათბობის აშკარა საშიშროება, რაც კაცობრიობისთვის მხოლოდ კატასტროფის მომტანია, შექმნეს ასევე სრულად გამანადგურებელი ბირთვული იარაღები და გერმოდეფიცირებული პროდუქტები, რომლებიც საშინელ ცვლილებებს იწვევს მისი მიღების შემდეგ ადამინის ჯანმრთელ ორგანიზმში, რაც სიცოცხლისათვის ასევე ძალზე საშიშია. მსოფლიო გლობალურმა კაცთმოძულე პოლიტიკამ , ყველა სფეროში მყარად შეაღწია, ათასწლეულებია ებრძვიან პირველად კულტურას, ისტორიას, სარწმუნოებას, ცნობიერებას და ამას ყველაფერს ძალადობით სიცრუის და სიყალბის ტირაჟირებით ახდენენ დღემდე! და, ყველაზე გამაოგნებელი და აღმაშფოთებელი, ის არის რომ ინდოევროპელებმა საკუთარი თავი მსოფლიო პირველ შემომქმედ - კულტურის და ისტორიის საწყის ცენტრად გამოაცხადეს, რასაც დანარჩენი მსოფლიო დაჰყვა და აღიარა კიდეც, ინდოევროპული რასის ,,დემოკრატიული" ღირებულებები. რის შემდგომ (ვეკითხები ყველა ჭეშმარიტების გზიდან აცდენილებს) ცხოვრებაც ხომ უკეთესი გახდა?! (რომელსაც არსად მივყავართ გარდა დაღუპვისა!) იკითხავს კაცი: მაშ სად არის ხსნა?! საუბედუროდ, ხსნას ისევ მათთან ვეძებთ. შედეგად კატასტროფას ვღებულობთ და მაინც მათკენ მივექანებით. ხსნა კი ჩემო ძვირფასო მეგობრებო ღმერთშია და ეროვნული ღირებულების, ისტორიის, კულტურის, მშობლიური მიწის დაცვა აღორძინებაშია. სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება! იოლ გზებს ვეძებთ თავისუფლების და ჩვენი იდენტობის შესანარჩუნებლად, მაგრამ შედეგად რას ვღებულობთ? (მცირედ მორწმუნენო) მხოლოდ დაცემას და ყოველივე იმ სიკეთის დაკარგვას, რაც პრეისტორიულ სამყაროში გვქონდა. დავკარგეთ თითქმის ყველაფერი. დღეს კი რანი დავრჩით! (სხვებს გამოკიდებულნი), ეტყობა კარგად ვერ შევისისხლხორცეთ დიდი ილიას სიტყვები: ,,ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეკუთვნოდეს"! არის კი ეს ასე? რათქმაუნდა არა! და ვეძებთ სხვაგან დამნაშავეს, უპირველესად საკუთარ თავს შევეკითხოთ ვქმნით კი ჩვენ რაიმე ღირებულს ჩვენი სამშობლოსათვის, რა თქმა უნდა არა! ეს კი უბედურებაა ჩემო თვისტომნო, რომელსაც გამართლება არც დღეს და არც მომავალში არ ექნება, ამიტომ გადავწყვიტე (განსჯისთვის): ნათლად წარმომეჩინა, თუ რა გზა გამოვიარეთ დაბადებიდან დღემდე! და რისი დაცვა ვერ შევძელით საუკუნეების განმავლობაში და როდემდე ვიქნებით, მხოლოდ მკითხველის როლში! ვაგრძელებ:

შემდგომი ეტაპი, როგორც უკვე ავღნიშნე, ეს არის გაბატონება ინდოევროპული რასისა, რომელთა მიერ წარმოდგენილი თითქმის ყველა ისტორიულ ცნობებს ვეყრდნობით და მივიჩნევთ არსებულ ფაქტად. და, ამ, ყალბ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენი თვისტომნი (და არამარტო ჩვენი) სამეცნიერო ხარისხებსაც იცავენ, რომლებიც ინდოევროპული მოდგმის ,,კორიფეებად" წოდებულ ისტორიკოსთა ,,ღირსეულ" მემკვიდრეებადაც მიჩნევენ საკუთარ თავებს. (ვახ, სიბნელევ, რა ძალის მქონე ხარ!) და, თუ, ვინმე გაბედავს და შეეცდება ბურუსით მოცული, მითვისებული, მიჩქმალული და ნაცარმიყრილი ისტორიის (ათასწლეულების მანძილზე) მტვრისაგან გაწმენდას პირველ ეტაპზე: ყურადღების მიღმა ,,ტოვებენ". შემდეგ კი (თუ არ დაცხრა) საშინელ ქარცეცხლში მოაქცევენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაადუმონ. დადუმების რა მოგახსენოთ, მაგრამ, (ჩვენდა სამწუხაროდ) დღესაც მათ ხელშია ყველა სამეცნიერო სადავეები, რაც, (დამეთანხმებით) მნიშვნელოვნად ხელს უშლის გაბატონებულთა მიერ მითვისებულ, მიჩქმალულ და ნაცარმიყრილ რეალური ისტორიის წარმოჩინებაში. მიზეზი ყოვლად ასეთი დაბრკოლებისა ჩემო ძვირფასო მკითხველებო, იმაში მდგომარეობს, რომ თავზე დაემხობათ, (მათ მიერ ყალბ) ისტორიულ ფაქტებზე შექმნილი სამეცნიერო მიღწევები. აი, ამას უფრთხიან, ხოლო ჭეშმარიტ ისტორიას ნებით თუ უნებლიედ გვერდს უვლიან და ინდოევროპელთა რასის კორიფეებად ცნობილ, (მათთვის სასარგებლო) ყალბ ისტორიულ წყაროებს ეყრდნობიან, რაც დამეთანხმებით დამანგრეველია ჩვენი არსობისთვის!!!

აქედან გამომდინარე, თავი ვალდებულად ჩავთვალე (განსჯისთვის) მოგაწოდოთ თუ, როგორ ებრძვიან იბერიული ცივილიზაციის შემოქმედ რასას, რომელიც გახლავთ უდიდესი წყარო პირველადი კულტურისა და ისტორიული ძეგლებისა.

1. სიმართლე გითხრათ გაკვირვებასაც იწვევს ქართველი მეცნიერების ერთხმაში ,,გალობა", იოანე ზოსიმეს ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი" - ს . მიმართებაში სადაც ენა ,,ლაზური" შეცვლილი აქვთ ენა ,,ქართულით", რაც უდიდეს მკრეხელობად მიიჩნევა. ,,ძეგლში" პირდაპირ ნათქვამია ლაზური ენის დამარხვის შესახებ! ,,დამარხულ არს ენაი ლაზური დღესამომდე". მე-10 საუკუნის სასულიერო მოღვაწე იოანე ზოსიმე, ხომ გარკვევით მიუთითებს ლაზური ენის დამარხვაზე და ღდგომაზე და არა ქართულზე! აშკარად და დაუფარავად ჩანს, თუ , როგორ ეწინააღმდეგებიან ქართველი მეცნიერების მთელი არმადა იოანე ზოსიმეს ,,ქებაი და დიდებაი ლაზურისა ენისაი"-შის (რას არ გაბედავენ ესენი):

2. ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდიტეს, რომელსაც ძალიან დიდი გადახრები აქვს ,,ელინურისაკენ" (ძვ. ბერძნული) ამბოს: ,,პელაზგები ბარბაროსები არიან, მათ დაივიწყეს საკუთარი ენა და ელინურ ენას დაეუფლნენ". (აი, ესეც შენი ისტორიის მამა). ყველაფერი კი პირიქით არის: ,,პელაზგურ კულტურაზე ზედნაშენია ელინური კულტურა"- ზვ. გამსახურდია (საქართველოს სულიერი მისია) არსებობს ისტორიულ მეცნიერებაში ასეთი ცნება: ,,პელაზგური სამყარო" ძირი იბერიული ცივილიზაციისა მკვიდრი უხსოვარი დროიდან რა დროსაც ელინების ხსენებაც კი არ იყო, ელინები ითვლებიან შემდეგ მოსულებად იმ ტერიტორიაზე, სადაც მკვიდრობდნენ ,,პელაზგები", რომლებიც გახლავთ: პირველი მითოლოგიური ღმერთების -ქალღმერთების,ტიტანების და გმირების შემქმნელები, რომლებსაც სახელები კი უწოდეს. პელიზგები იყვნენ პრეისტორიული კულტურის შემქმნელები, ხოლო ,,ელინები" ითვლებიან შემდეგ მომხვდურებად, როდესაც იწყება იბერიული ცივილიზაციის დაკნინება. ცნობისთვის მინდა გითხრათ: თავსართი ,,პე"- რომელიც წინ უდევს პე-ლაზგურს ძველი ბერძნების ანუ მომხვდურების მიერ წამძღვარებული თავსართია, რომელსაც არავითარი კავშირი არააქვს პირველად ისტორიული სახელწოდება ,,ლაზგურთან". ,,ლაზგური"! -ლაზურ-მეგრული სახელწოდებაა, რაც ლაზის გულს ნიშნავს, რის განმარტებას, როგორც ქართველი მეცნიერები აცხადებენ: ,,ვერ შევძელით"-ო, რაც ასევე მტკნარი სიცრუეა (ნებისმიერი მეგრულ ენაზე მოლაპარაკე თავისუფლად განმარტავს არსებულ სახელწოდებას) პასუხი მკითხველისათვის მიმინდია. ხოლო, რაც შეეხება ჰეროდიტეს ის, აქ ნამდვილად მიკერძოებულია, როგორც სხვა ისტორიულ ფაქტებთან...

3. ეხლა კი (რაც არ უნდა გაგიკვირდეთ) მინდა თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მივაპყრო ჩვენი თვისტომის ნუგზარ ვანიშვილის კვლევებზე. იგი გახლავთ პროფესიით მშენებელი (რასაც მივესალმები კიდეც) დღეს კი ისტორიულ წყაროებზე მომუშავე, (ახალი ამერიკის აღმომჩენი) ანუ კოლხეთის ისტორიის უკუღმა დამბრუნებელი, აი, რას აცხადებს იგი საკმაოდ ხმამაღლა! ეტყობა ისე ძლიერ უყვარს თავისი სამშობლო, რომ ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში დადგენილ ფოთისა და მდინარე რიონის ,,ფაზისობას",ადგილ-სამყოფელი შეუცვალა და, (ამით) თავისი ახალი ამერიკაც აღმოაჩინა. სადამდე მივედით ნუგზარ ბატონო! კარგით, რადგან ასეა, მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად და ვნახავთ სად გაგვიყვანს ისტორიული რეალობა. თქვენ აცხადებთ, რომ ქ. ფოთი არ არის ისტორიული, ქ. ფაზისი არამედ ფაზისად თვლით ,,ახალ სოფელს" გონიოსთან ახლოს. (აჭარა) და რომ ასევე, არც მდინარე რიონია მდინარე ფაზისი, არამედ მდინარე ჭოროხი (კეთილი და პატიოსანი) ამასთან დაკავშირებით მინდა დაგისვათ შემდეგი კითხვა: ,,სად არის ქალაქსადა მდინარეს ახლოს ტბა, რომლებსაც ძველმა ბერძნებმა ,,პალეო" - ,,პალია" უწოდეს, რაც უძველესს ნიშნავს. საუბარია უძველეს ტომზე, რომლის გარშემო ძირძველი ტომი ცხოვრობდა. ბუნებრივია ასეთი ტბა მდინარე ჭოროხსა და ახალსოფელს შორის არ არის და არც არასოდეს არსებულა.

ეხლა კი რაც შეეხება თქვენს მიერ ფაქტად მოყვანილ სტრაბონის სიტყვებს, რაც ასევე არასწორად გაქვთ გადმოცემული. სტრაბონის ცნობით: (ბატონო ნ. ვანიშვილო) ,,ქ. ფაზისი-ფოთი მდებარეობს შავი ზღვის, რიონსა და ტბასთან".

კოლხეთის საზღვრები ასევე აღწერილი აქვს პტოლემეს თავის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში. ,,...კოლხეთის მთავარი მდინარე იყო მდ. ფაზისი(რიონი)".

სტეფანე ბიზანტიელის ცნობით: კი ,,ეა, კოლხეთის ქალაქია არქეოპოლისად წოდებული, (დღევანდელი ნოქალაქევი). რომელსაც ეწვივნენ ,,არგონავტები", იგი გაშენებული იყო აიეტის მიერ, რომელიც 300 სტადიონით დაშორებულია ზღვას, მას უვლის ორი მდინარე ჰიპპოს და კიანოს", (ეს მდინარეებია აბაშა და ტეხური) 300 სტადიონი დაახლოებით 50 კილომეტრია. და ეას, (ნოქალაქევი) ზღვიდან (ფოთი) დაშორების ეს მანძილი ზუსტად უდგება. რაც შეეხება მდ. ჭოროხს, ის არასდროს განიხილებოდა, როგორც დიდი სანაოსნო სატრანსპორტო სასუალებად თუ არ ჩავთვლით ვიწრო სანაოსნო მიმოსვლებს. ვინაიდან, ქვაღორღიანია და დიდი ხომალდები პრაქტიკულად ვერ შესცურავდნენ. დავუშვათ, რომ შესულიყვნენ, მდ. ჭოროხის საშუალებით ვერასოდეს მოხვდებოდნენ აიეტის სატახტო ქალაქ ეა-ში. ასევე, არანაკლებ ისტორიული მნიშვნელობისაა მე-XX საუკუნის 80-90-იან წლებში ცნობილი მეცნიერისა და მოგზაურის ტიმ სევერინის მოგზაურობა კოლხეთში, (დღევანდელი სამეგრელო) სადაც იგი თავისი ,,არგოთი" ფოთს ესტუმრა და შესცურა მდ. რიონში. ამით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა ,,არგონავტების" ლაშქრობის შესახებ. ქ. ფაზისში - დღევანდელი ფოთი.

როდესაც თქვენ. (ასე ემოციურად) აცხადებთ: ,,გონიოსთან" ახლოს მდებარე ,,ახალი სოფელი ქ. ,,ფაზისი იყო" ,- ამასთან დაკავშირებით, მინდა გიპასუხოთ შემდეგი: (ტოპონიმები) ზუსტად იძლევიან ამა თუ იმ გეოგრაფიული მდებარეობის ეტიმოლოგიურ ცნობებს, რომელი პრეისტორიული ცნობები იძლევიან ,,ახალი სოფლის" შესახებ?! (დამეთანხმებით ალბათ) არცერთი ისტორიული წყაროები, თანაც, სოფლის სახელწოდების მიხედვით ,,ახალი სოფელი" პირდაპირ მიუთითებს ახაშენზე, რომელიც არ შეიცავს პრეისტორიულ ღირებულებას და იგი ვერ იქნება გაზიარებული, ისტორიულ ქ. ფაზისად.

ამიტომ მოვითხოვდი მე: ძვირფასო მეგობრებო! ქ. ფოთს, (რომელიც გაქართებული სახელწოდებაა) დაუბრუნდეს თავისი ისტორიული სახელი ,,ფუთი", რომელიც სრულად განმარტავს ,,ფუთის" წარმოშობის, (საფუძვლიან) ისტორიულად დადასტურებულ ფაქტს. (რის შესახებ, ,,ფუთის" ეტიმოლოგია სრულად მაქვს გაშუქებული და გამოქვეყნებული ამავე გაზეთის წინა ნომრებში.) რაც შეხება ქ. ფოთს, რომელსაც ნ. ვანიშვილი და მისი ჯგუფი აღიარებენ, როგორც ისტორიულ, არამედ ჩვეულებრივ ისტორიულად არაფრისმაუწყებელ ქალაქად. საქმე იმაში გახლავთ, რომ ფოთი, როგორც მოგახსენეთ, არის: გაქართებული სახელწოდება, რომელიც არ იძლევა თავისი წარმოშობის შესახებ საფუძვლიან განმარტებას, (როგორც მისი ისტორიული სახელწოდება ,,ფუთი"). ამიტომ სრულად აქვთ ხელ-ფეხი გახსნილი ნ. ვანიშვილს და მის თანამოაზროვნეებს თავისუფლად იბოგინონ და ითარეშონ კოლხეთის ისტორიაში. მაგრამ ვპირდები: დიდი კონსტანტინესი არ იყოს: ,, ხელს გავიცლი და ვწვდები მაგ გოლიათს". და, მაინც ცნობისთვის კვლავ ვაცხადებ: ,,ფუთი" არის ძვ. მეგრული სიტყვა და ნიშნავს 16 კგ-ს, და თუ რატომ?! საქმე იმაში გახლავთ რომ: ( დღიდან- დღესამომდე ანუ უკანასკნელ ჟამამდე) გადატანით ,,ფუთი" ნიშნავს 16 ათას წლოვან ცოდნას, რომელიც ისწავლებოდა ამ ქალაქში ,,ფაზისის" იგივე ,,ლაზისის" აკადემიაში, ამიტომ ამ ქალაქს უწოდეს სწავლულმა ბერებმა ,,ფუთი" რაც ცოდნის ცენტრს,- (ქალაქს) ნიშნავს: ანუ აქ ისწავლებოდა, როგორც წარსული, აწმყო, ასევე მომავლის ზეუნივერსალური ცოდნა, (წინასწარმეტყველებანი) რაც ლაზურ ენაში იყო! რომელიც ლაზი მამების (ქურუმების) მიერ საგულდაგულოდ დაფლულ-დამარხულ იქნა ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. და თქვენ წარმოიდგინეთ რა ვერაგული ნაბიჯები იქნა გადადგმული ჩვენი თვისტომების მიერ ღვთივ კურთხეული-პრეისტორიული ქალაქ ფოთის, იგივე ფუთის წინააღმდეგ. სად ვეძებთ მტრებს, (თანაც დაუძინებლებს) ისინი აქ არიან ჩვენს გვერდით ჩვენი რჯულისანი( ისე საკითხავია ვისი რჯულიდან მოდიან), რომლებიც ასე გაშმაგებით და დაუნდობლად ებრძვიან დღემდე იბერიულ ცივილიზაციას. აქედან გამომდინარე მინდა ყველას გასაგონად განვაცხადო: ,,ვინც ცდილობს ჭეშმარიტი ისტორიის წაშლას, თავად ისტორია წაშლის მას, თითქოს არასოდეს არსებულა ისტორიისთვის!

მოგიწოდებთ: ,,დაიცავით და პატივი ეცით თქვენს ისტორიას, აამაღლეთ და იბრძოლეთ მისთვის, და, მაშინ თქვენც ამაღლდებით ღვთისა და მომავალი თაობების წინაშე".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პატივისცემით
ნიკოლოზ იბერი
ფუთი

## დღესასწაულს ხალხი მართავს...

# ''ფაზისობა -2018''-ის შესახვედრად

,,ფაზისობა" ფოთელებისათვის საყვარელი სახალხო დღესასწაულია.იგი სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს. დღესასწაულის უმთავრესი სლოგანი იყო -,,ფოთელებს ერთი სიყვარული აქვთ".

სახალხო დღესასწაული ,,ფაზისობა" ტარდებოდა 1975 წლიდან, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები. ,,ფაზისობა" არ არის ერთდღიანი დღესასწაული,იგი მოიცავს ღონისძიებებს მთელი წლის მანძილზე. ფაზისობა არის ფოთელების ერთმანეთთან დაახლოების, ერთიანი ძალისა და დიდ სიყვარულთან,მშობლიური ქალაქის უკეთესი მომავლის შექმნაში მონაწილეობის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითი. ,,ფაზისობის" დღესასწაულში მონაწილეობდნენ დამეგობრებული ქალაქებიდან დელეგაციები.

დღესასწაული მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, გამწვანების, სანიტარულ - ჰიგიენური წესრიგის დამყარებისა და ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონსიძიების გატარებას, ქალაქის კეთილმოწყობის საქმეში მოსახლეობის აქტიურ ჩაბმას, ქალაქის ტერიტორიულ უბნებს შორის ურთიერთ შეჯიბრის მოწყობას, რომლის დროსაც ფოთელებს წესრიგში მოჰყავდათ ქუჩები, ღობეები, ეზოები, საცხოვრებელი სახლების ფასადები, სკვერები, გაზონები, სპორტული მოედნები და დასვენების ადგილები. მნიშვნელოვანია ქალაქში შემოსასვლელი მაგისტრალური ქუჩების ერთ ფერში მოყვანა. ამ საქმეში ამ ქუჩებზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების ჩაბმა, კერძო საწარმოების, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და აქტიური მონაწილეობა ქალაქის გამწვანების საქმეში.

დიდი ყურადღება ეთმობოდა კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების ჩატარებას ქალაქის სხვადასხვა ტერიტორიულ უბნებში.

იმედია წლევანდელი ,,ფაზისობა-2018"-ის მზადების პერიოდში გათვალისწინებული იქნება ყველა ზემოთჩამოთვლილი ღონისძიება.

გვჯერა ფოთელები დიდი მიღწევებით და ამაღლებული განწყობით შეხვდებიან სახალხო დღესასწაულს.

## ასე ტარდებოდა დღესასწაული



## წარმატებული ქალი ჩვენი ქალაქიდან

# ნინო ჭანტურია- მკურნალი, მეცენატი და მოქალაქე...



ფოთის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ,,ევექსი"-ს პედიატრიული დეპარტამენტი აშკარად პასუხობს ახალ სტანდარტებს, ახალ მოთხოვნებს და ეს მისი ხელმძღვანელის, ცნობილი პედიატრის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, ქალბატონ ნინო ჭანტურიას დაუღალავი შრომისა და მოღვაწეობის შედეგია. თვალში საცემია სამედიცინო- ტექნიკური გადაიარაღება, სიახლეები. სხვადასხვა დაავადებათა კვლევის ლაბორატორიები, პირველადი დახმარება, რეანიმაცია, კარდიომონიტორები. ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა ყველა განყოფილებაში და მათი კოორდინირებული მუშაობა გუნდურობის პრინციპით, ცალკე ამბულატორიული მკურნალობა, კმაყოფილი პაციენტები, მადლიერი მშობლები, ღიმილიანი სახეები. და, რაც მთავარია, აქ არის უდიდესი სიყვარული ბავშვებისადმი, არჩეული პროფესიისადმი.

არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ფასად სხვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს უფრთხილდებიან, ამაზე დიდი მოვალეობა რა უნდა იყოს! ექიმი - არცერთი პროფესია ასე საპასუხისმგებლო და საფრთხილო არ არის, თანაც ახლავს უდიდესი იმედი სიცოცხლის გადარჩენის - ანუ მთელი სამყაროს გადარჩენისა, ,,მე ვარ ადამიანი და ჩემში არის მთელი სამყარო"-უთქვამს პოეტს, რამდენადაც დიდია პასუხისმგებლობა, დიდია პროფესიონალიზმი და მორალური ვალიც. - ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულება, ესაა ის დიდი პოსტულატი, რომელსაც სამედიცინო სამყარო უნდა ეფუძნებოდეს.

ჩვენს ქალაქს სამედიცინო ცხოვრების, მომსახურების დიდი ისტორია აქვს. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ექიმები, საქვეყნოდ აღიარებული პიროვნებები, შეუძლებელია სიამაყის გრძნობა არ დაგეუფლოს მათი გახსენებისას, ღმერთმა ნუ ქნას, რომ სულ წარსულ დროში ვწეროთ და არავინ შემოგვრჩეს იმედად, საქვეყნოდ, სწორედ, ასეთი პიროვნება და ექიმი გახლავთ ქალბატონი ნინო ჭანტურია, რომელმაც დროს გაუსწრო და შეისისხლხორცა ორი საუკუნის მიჯნაზე სამედიცინო ცვლილებების დადებითი მხარეები, სხვათაშორის, ამ თაობამ ომიც ნახა და სიკვდილს გამოსტაცა მტერთან მებრძოლი მამულიშვილები. 2008 წელს.

ქალბატონ ნინო ჭანტურიას დღეს მეტად რთულ უბნებში უწევს საქმიანობა. ბავშვთა პედიატრიული დეპარტამენტი საუკუნოვან ტრადიციებს მოითვლის დამსახურებული და ახალგაზრდა ექიმებით. კოლექტივის, როგორც ორგანიზაციის მართვა დიდ ნიჭსა და უნარს მოითხოვს, გამოცდილებას, ზოგად ცოდნას, ჰუმანურობას, სიყვარულს შენი ქვეყნის, ქალაქის და ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი კოლექტივისადმი. ამ დაწესებულებას იმედის სახლსაც დაარქმევდა კაცი, რამდენადაც შვილის გაჩენა ბედნიერებაა, მაგრამ როცა საქმე მკურნალობას, გამოჯანმრთელებას ეხება, კაპიტალისტურ წყობაში მზად არ ვართ ამისთვის. უფრო ოჯახებს უჭირთ, დედებს, არადა, საქართველოს მომავალი, ის პატარაა, რომელიც რაც შეიძლება მეტი უნდა მოევლინოს ქვეყანას. ეს პასაჟიც იმიტომ დაგვჭირდა, ქალბატონი იმ ტრადიციებს აგრძელებს, მეცენატობს, უანგაროდ კურნავს ჩვენს პატარებს, მართლაც ანგელოზებს, წამლების ფულსაც თვითონ არ დაიზარებს, არ დაენანება და როგორ შეიძლება არ გიყვარდეს ასეთი ექიმი, პიროვნება, მოქალაქე, იცის ეს ფოთის საზოგადოებამ და როცა ქალაქს უყვარხართ, გაფასებთ, ეს უდაოდ დიდი ბედნიერებაა.

ჩვენს ქალაქში ძალიან ბევრია ასეთი წარმატებული ქალები, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, მრავალმხრივი, სპეტაკი, მისი დამსახურებაა ,,ლაზიკამედში" ცნობილი სპეციალისტების მოწვევა, რომლებიც ფოთელებს უანგაროდ ემსახურებიან.

ასევე ძნელია იყო დიდებული მეუღლე, დედა, ბებია. ოჯახი სახელმწიფოა პატარა და არც მისი მოვლა-პატრონობა არაა იოლი.

ეს პატარა წერილი მხოლოდ ნაწილობრივ თუ გამოხატავს ქალბატონ ნინო ჭანტურიას დიდ ღვაწლს, მაგრამ მთლად უთქმელობაც არ ვარგა. სამადლობელი ერთგვარი სტიმულია, რომ ვიღაც შენს შრომას აფასებს, გემადლიერება. ამისთვის ალბათ ღირს ცხოვრება და მოღვაწეობა.

მადლიერი ფოთელები.

## ფილმი აფხაზეთის ომზე

# ,,მტერი ჩემი - ძმა ჩემი"

### გამგებმა გაიგოს



27 ივნისის 17 საათი. ფოთის კულტურის სახლის დარბაზი ნახევრად არის შევსებული, უმთავრესად ფოთის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებითა და მათი ოჯახის წევრებით. ფოთში განსახლებული დევნილების ჩამოსათვლელად ორი ხელის თითები შეიძლება არც დაგვჭირდეს. თავად საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი" ადმინისტრაციის წყალობით, სადაც პატივი მაქვს ვეწეოდე პედაგოგიურ საქმიანობას, მოვხვდი აქ. უდიდესი მადლობა თქვენ, ქალბატონებო და ბატონებო, თორემ ამ მოვლენასაც ავცდებოდი, როგორც აფხაზეთთან დაკავშირებულ ბევრ სხვა ფოთში ჩატარებულ ღონისძიებას ვერ დავესწარი.

თხუთმეტიოდე წუთში სცენაზე გამოდიან ფილმის „მტერი ჩემი - ძმა ჩემი" პროდუსერი ქალბატონი ლელა მაქაცარია და მისი მეუღლე, ფილმის რეჟისორი ბატონი ლევან ანჯაფარიძე. ნახევრად ცარიელ დარბაზს წინასწარ ბოდიშს უხდიან, თუ რაიმე არ მოეწონებათ, თანაც მოგვითხრობენ, რომ ფილმი ძალზე მცირე სახსრებით არის შექმნილი და რომ მსახიობთა დიდი ნაწილი უსასყიდლოდ ღებულობდა მონაწილეობას ფილმში.

დაიწყო ფილმი. მის დასრულებამდე დარბაზი არავინ დატოვა. დროდადრო მესმის ჩემს უკან და გვერდით მჯდომი ფოთელი ქალბატონების ემოციური რეპლიკები.

დამთავრდა ფილმი. შთაბეჭდილებებით დატვირთული რამოდენიმე წუთი უხმოდ ვდგავარ დარბაზში, ხალხიც ჯერ არ გამოდის, ემოციებს აყოლილნი შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. მე სოხუმელი ვარ. ჩემთვის მეტად მტკივნეული და უაღრესად გასაგებია ფილმში ჩადებული ლაიტმოტივი და კონტექსტი.

შთაბეჭდილებებით დატვირთული,თვალზე მოწოლილი ცრემლით შევდივარ კულტურის სახლის ხელმძღვანელის კაბინეტში, სადაც ფილმის რეჟისორი დავინახე. გაბზარული ხმით მადლობას ვეუბნები უაღრესად შთამბეჭდავი ფილმისათვის. ბატონი ლევანი ხვდება ჩემს მდგომარეობას და მადლობას მეუბნება ფილმის სწორად გაგებისათვის. ჩემი სოხუმელობა არაფერ შუაშია - შემოდიან ფოთელი ქალბატონები და ისინიც უდიდესი პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით ესაუბრებიან ფილმის შემქმნელებს.

ამ ფილმის მოყოლას აზრი არა აქვს. ის უნდა ნახო, ის უნდა განიცადო, მასში უნდა „შეხვიდე"... სამწუხაროდ დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო. სამაგიეროდ ქუჩაში რომ გამოვედი, რუსთაველის რკალის ნაწილი გადაკეტილი დამხვდა. პარკის შესასვლელთან უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ვიღაცამ ჩაილაპარაკა - პური და სანახაობა!.. მწარედ ჩამეცინა. გამახსენდა ათიოდე წუთის წინ ფილმში მოსმენილი რადიოთი გადმოცემული ახალი ამბები აფხაზეთში მოქმედი საბრძოლო მოვლენების შესახებ, რომელსაც სარეკლამო განცხადებები მოაყოლეს ანტალიაში იაფი ტურისტული საგზურების შეთავაზებით. მართლაც ასე იყო. საქართველოს ჩრდილო დასავლეთი ნაწილის მკვიდრი მოსახლეობა სისხლისაგან იცლებოდა, პატრიოტი მამულიშვილები მთელი საქართველოდან თავს სწირავდნენ ეროვნულ საქმეს, ვიღაცეები კი ფულს აკეთებდნენ, დაღლაბუცობდნენ და არაფერს არ იკლებდნენ თავისი ჭიის გასახარებლად.

მძიმე ფიქრებით დატვირთული წამოვედი სახლისაკენ. გავუარე ჩემს მეგობარს, აფხაზეთის მკვიდრსა და ძმათამკვლელი ომის უნებლიე მონაწილეს. დაბოღმილმა მითხრა „ვიცი, რომ მაგარი ფილმი უჩვენეს, მაგრამ ჩვენ ვინ გვეტყოდა ამის შესახებ, ვის რაში აინტერესებს წარსული? გვყავს ვინმე საკრებულოში ან მერიაში, ვისაც ჩვენი ამბავი სტკივა და აწუხებს? "

არიან ძმაო, თითო-ოროლა ჩვენი გამგები ადამიანი იქაც მოიძებნება, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიან, ჩვენს ტკივილს ჩვენვე უნდა მივხედოთ, გამოვიტანოთ სააშკარაოზე და დარწმუნებული ვარ ჩვენი ტკივილის გამზიარებელი ბევრი გამოჩნდება. არ დავივიწყოთ, რომ ფოთი და ფოთელები არიან, ვინც პირველმა მიიღო დევნილები ჯერ გაგრაგუდაუთიდან, შემდეგ კი მთელი აფხაზეთიდან. მათ შეგვიფარეს და ხელი შეგვიწყვეს გადავრჩენილვიყავით. კი, არიან ისეთებიც, რომლებმაც შემდგომში დაიქადნეს დევნილებს ფოთში არ ვაგულავებთო და ჯერჯერობით ნაწილობრივ გაიტანეს კიდეც თავისი - საჯარო სამსახურში ჩანს შედეგი. ასეთების გასაგონად ვიტყვი: ჩვენს დიდ უმრავლესობას „საგულაოდ" საქმე არა გვქონია. თუ ვინმე „აგულავდა", ისიც თქვენისთანებთნ ერთად. მაგრამ ეს გამოსწორებადია. მესამე ათწლეულია აქ ვცხოვრობთ და შარშანწინ ან თუნდაც ხუთი-ათი წლის უკან მოსულებზე მეტი არ ვიცით ფოთის შესახებ?

არ არიან ქალბატონი ლელა და ბატონი ლევანი აფხაზეთიდან, მაგრამ ნახე ფილმი და მიხვდები, რომ ბევრ ვითომ აფხაზეთის მკვიდრზე უფრო სტკივათ ქართველების, აფხაზების და კავკასიის სხვა ხალხების ურთიერთობები. არ უნდა დაივიწყონ ახალგაზრდებმა დიდი ილიას სიტყვები: „აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა".

ისევ ილიას დავესესხები: „თუ ნამდვილად გული გტკივა ხალხისათვის, ...უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო, ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეს თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!.."ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, 22 მაისი, 1886 წელი

სწორედ ასეთებია არიან ქალბატონი ლელა, ბატონი ლევანი და კიდევ ბევრი სხვა, რომელმაც თუნდაც მცირედი გაიღო ამ მართლაც მამულიშვილური საქმისათვის. ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, უდიდესი მადლობა!

აქვე მახსენდება „რკინის კანცლერის", ოტო ფონ ბისმარკის სიტყვები, რომ ომს იგებენ არა გენერლები, არამედ სკოლის მასწავლებლები და სამწყმსოს მღვდლები.

გამგებმა გაიგოს.

P.S. შეხვედრის შემდეგ ბატონმა ლევანმა მისახსოვრა დისკი ფილმის „მტერი ჩემი - ძმა ჩემი" ჩანაწერით. ვისაც სურვილი გექნებათ, შეგვიძლია ერთად ვიხილოთ და განვიხილოთ ფილმი. ინტერნეტშიც შეგიძლიათ ნახოთ ფილმის სრული ვერსია ვებ.მისამართზე: https://www.youtube.com/watch?v=7_JrPmBxA_U

რევაზ წულაია
28 ივნისი 2018 წელი

## პიროვნება, რომელიც დროს უსწრებდა-ულმობელი სქმის კაცი
# ნიკო ნიკოლაძე- 175




„1861 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში პეტერბურგში არეულობა დაიწყო. სტუდენტები უნივერსიტეტში მატრიკულების შემოღების წესს აპროტესტებდნენ. იმ დროს უმაღლეს სასწავლებელში ლექციებზე დასასწრებად სტუდენტის სტატუსი აუცილებელი არ იყო, ყველას შეეძლო შესვლა. ამიტომ, აუდიტორიებში ე.წ. ბუნტარებიც ხვდებოდნენ, რომლებიც თავისუფლებისკენ ისწრაფოდნენ, თავიანთი იდეალების შესახებ საუბრობდნენ და ამით სასწავლო პროცესი ფერხდებოდა. უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, უნივერსიტეტში ახალი წესი შემოეღო, ვისაც მატრიკული არ ექნებოდა, შენობაში არ დაეშვათ. სტუდენტებმა, პროტესტის ნიშნად, ნევის პროსპექტზე 3 დღიანი მანიფესტაცია გამართეს რომელშიც, 12 ქართველი და მათ შორის, ნიკო ნიკოლაძე მონაწილეობდა. ამ საქციელისთვის დემონსტრანტებს ჯერ პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხეში, შემდეგ კი, კრონშტადტის ციხეში უკრეს თავი.

როგორც ნიკო იხსენებს, ადგილობრივებმა ძალიან კარგად მიიღეს, გემიდან გადმოსულებს ქალებმა ყვავილები და ნამცხვრები მოგვართვესო. საერთოდ, ამ პერიოდს ნიკოლაძე საკმაოდ ნაყოფიერს უწოდებს, რადგან, იქ სტუდენტებთან ერთად, ლექტორებიც გადაასახლეს და სწორედ იქ გავიგე, რა არის თავისუფლება და როგორ უნდა იბრძოლო მის მოსაპოვებლადო."

ნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები" დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით (1873 წელს), მისი რჩევით, ჟენევაში დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი". მანამდე, პარიზში ცხოვრებისას (1864) მე-19 საუკუნის ერთ-ერთი რუსი მოაზროვნის გერცენის თხოვნით წერდა წერილებს „კოლოკოლისთვის". ეს იყო არალეგალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ინგლისში და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში.

მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიმოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთანნიკო ნიკოლაძე იყო პირველი ქართველი, ვინც სადოქტორო დისერტაცია ევროპაში დაიცვა. ჟენევაში 1868 წელს გამოქვეყნებული მისი სადიპლომო ნაშრომი, „განიარაღება და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები" დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით (1873 წელს), მისი რჩევით, ჟენევაში დაარსდა ქართული საგანმანათლებლო საზოგადოება „უღელი". მანამდე, პარიზში ცხოვრებისას (1864) მე-19 საუკუნის ერთ-ერთი რუსი მოაზროვნის გერცენის თხოვნით წერდა წერილებს „კოლოკოლისთვის". ეს იყო არალეგალური გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ინგლისში და ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში.

მას ნაცნობობა, თანამშრომლობა თუ მიმოწერა აკავშირებდა ჯუზეპე გარიბალდისთან, ვიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ემილ ზოლასთან, პოლ ლაფარგთან. პარიზში შეხვდა კარლ მარქსს, რომელმაც ნიკოლაძეს შესთავაზა, ამიერკავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო, რაზეც დელიკატური უარი მიიღო.

პოლ ლაფარგთან. პარიზში შეხვდა კარლ მარქსს, რომელმაც ნიკოლაძეს შესთავაზა, ამიერკავკასიაში პირველი ინტერნაციონალის წარმომადგენელი ყოფილიყო, რაზეც დელიკატური უარი მიიღო...

---

***მილოცვა***

## „ეს იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე"
# ჯემალ გერსამია-77



ჯემალ გერსამიას ცხოვრება და მოღვაწეობა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების თანაზიარი და მისი განუყოფელი ნაწილია, ორი საუკუნის მიჯნაზე მისი ტკივილით და სიყვარულით იცხოვრა- განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ფოთის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის განვითარებაში, რომელიც მოგვიანებით საეჭვო ვითარებაში გაიყიდა და ნავსადგურის ყოფილმა მთავარმა ინჟინერმა სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლას შეალია მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება. ფოთი და ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმია, აი, მისი ბრძოლის მთავრი მიმართულება. ახალი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით აქვს საინტერესო პროექტები, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, მაგრამ 30 წელია არ ეღირსა განხილვა, გამართლდა მისი პროგნოზები ანაკლიასთან დაკავშირებით - ბიუჯეტის თანხების გამოყენება და სხვა დანაშაულებრივი ქმედებები, ბატონ ჯემალს აქვს ასევე დიდი პროექტი ახალი არხის ,,ფაზის" მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეაერთებს ევრაზიის დერეფანს. მოგვიანებით ხდება მისი იდეების რეალიზება, ოღონდ ესაა, ავტორი არ ახსოვთ- ახლა დარწმუნდნენ, რომ ყველაზე ღრმაწყლიანი კანიონი ფოთშია.

ნავსადგურის გაყიდვასთან დაკავშირებით გაწეული წინააღმდეგობების გამო სახლ - კარი დაუცხრილეს და ოჯახის წევრები იღბლად გადარჩნენ. ეს რექცია მოჰყვა მის ღია წერილს საქართველოს პრეზიდენტის- ედუარდ შევარდნაძისადმი, სადაც იგი წერდა ნავსადგურში არსებულ ნაკლოვანებებზე და გამოსწორების გზებზე.

თუმცა,უკან არ დაუხევია და კვლავ აგრძელებს ბრძოლას იმისთვის,რომ ფოთს დაუბრუნდეს საქართველოს საზღვაო კარიბჭის ფუნქცია, ფოთს დაუბრუნდეს ერთი ამწის ფასად გაყიდული ნავსადგური.

ჯემალ გერსამია დაიბადა ფოთში 1945 წლის 28 აგვისტოს -მარიამობას, ოდესაში საზღვაო ფლოტის ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა, დაცული აქვს რეფერატები ბერლინში, მალტაში და ჰამბურგში. . ფოთის პორტზე, ქალაქის ეკონომიკის მდგომარეობაზე (1992 წ).

ჯემალ გერსამიამ 10 წელი იმუშავა ფოთის ნავსადგურის მთავარ ინჟინრად-(1986-1996 წელი). მისი თანამდებობა ნავსადგურის გაჩანაგების გამო მის ოფიციალურ გამოსვლებს შეეწირა. სტრასბურგმა მიიღო მისი საჩივარი ნომრით - 68. ყოველივე ნათლად ახასიათებს ჯემალ გერსამიას პიროვნებას, მის პატრიოტიზმს, სახელმწიფოებრივ აზროვნებას, ფოთის და ფოთელების უდიდეს სიყვარულს და თავგანწირვას.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს ასეთი პრინციპული, საქმიანი ადამიანები, მხოლოდ ეს თუ გადაარჩენს ქვეყანას, რომელსაც არასდროს აკლდა გამყიდველები და შადიმანები.

კვლავ დიდხანს სიცოცხლეს, სიხარულს, ბედნიერებას გისურვებთ ჩვენი ქალაქის ,ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

**მეგობრები**

---

# შეხვედრა პოეტთან, ტარიელ ხარხელაურთან



„დარდი, ფიქრი და ტკივილი
ჩემგან მოედო სამყაროს...
რას ამბობ, ნისლო, ტირილი
შენ როგორ უნდა მასწავლო –
ეს მე ვარ, კლდეთა კალთებზე
ცრემლად რომ ჩამოვწკანწკარობ."

ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში ცნობილ ქართველ პოეტთან ტარიელ ხარხელაურთან შეხვედრა გაიმართა. საღამოს ფოთის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, მეზობელი რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები დაესწრნენ.

პოეტმა ყველასათვის საყვარელი ლექსები წაიკითხა და მისი პოეზიის მოყვარულთა შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრას ქალაქ ფოთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი ესწრებოდა.

---

## *ნაპო თოღუა*
## *ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი*



### დაგადარდიანთ

მე როგორ ვარ შენ რომ გითხრა, ძალზე დაგადარდიანებ
დევიზი კი ისეთი გვაქვს, სხვას ჩვენ არ ვადარდიანებთ,
ვეფერებით განურჩევლად, მეთევზეს და ძადიანებს!
ამ მეთოდით ამ საწუთროს, შევუმცირებთ დარდიანებს.
ჩვენს დონეზე გზას ვუკაფავთ ინტელექტს და საზრიანებს,
შევეცდებით მოვაქციოთ! დავამსგავსოთ დადიანებს.

********

### ქინი

ქინი კარგად ყოფნის, ქინი გადარჩენის,
ქინი პირველობის, ქინი გამარჯვების.
პირველი მიზანია ცხოვრების თამაშების...
აქ უაზრობაა, რამეს გაყალბების!..

********

### მიწამე!

მე ხომ შენი ყველაფერი ვიწამე!
შენ ხომ ხედავ, უშენობით ვიწამე!
რა იქნება ერთგულება იწამე.
არ გამწირო არ მარგუნო მიწა მე,
მადლი ქენი მიპატრონე მიწამლე

********

### მშიერი

ამ საწუთროს ბევრი ყავდა მისაბაძი გენიოსი!?
ბევრი რამე გამარტივდა სირთულეთა მთელი ბოსი!
მაგრამ მაინც ვეღარ იტყვის, ეს საწუთრო ძლიერია,
თუგინდ საცხა უდაბნოში ერთი ბავშვიც მშიერია!

---

*„არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს, სხვა ქვეყნის სამოთხეშიც"*

## ნუხელის ბიჭი დაბადებულა...
# დანიაში დაიბადე დანიელ

2018 წლის 19 ივლისს სასიხარულო ამბავი შეიტყო ოჯახმაინგული მოსიავას და დოდო კოპალიანს შვილიშვილი შეეძინათ დანიაში, რომელსაც სახელი დანიელი დაარქვეს.

ეს ამბავი რომ გავიგე,
ავიწიე მაღლა ცაში.
ამა, ბაბუ გაუიზარდე
დანიელო დანიაში!
ახლა როცა კალამს ვიღებ,
თვალზე ცრემლი მომდის,
რომ კოლხეთის შვილი ხარ
და მისი დიდი მოდგმის.
შენ ხომ ჩემი სისხლისხარ,
მოწყვეტილი ყლორტი,

ნეტავ როდის მეღირსები,
როდის მოხვალ, როდის?!
ჯერ ნორჩი ხარ აღარ
იცი სიყვარულის გემო
რომ იცოდე დღეს შორიდან
გეფერება ბებო.
თან გახსოვდეს ცხოვრებაში
დაიდევი ფასი,
რომ დღეიდან გაგითენდეს
წელიწადი ,,ასი"

შენი ბაბუ!!!

მილოცვა

# შოთა მიქიაშვილს

## ,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე”



ყველაზე დიდი სიმდიდრე ადამინებს შორის ურთიერთობაა, მის გარეშე აზრს დაკარგავდა ცხოვრება. ადამინებო, გახსოვდეთ ერთმანეთი და მეც თქვენთან ვიქნები-გვარიგებს უფალი. მადლობა ღმერთს ჩვენს ირგვლივ არიან სიყვარულით, სიკეთით, კაცობით სავსე ადამიანები, რომელთანაც, შეხვედრა ზოგჯერ ისე მოგვენატრება, ყველაფერს გადავდებთ და აუცილებლად ვეწვევით. ერთ-ერთი მათ შორის ბატონი შოთა მიქიაშვილია-ულმობელი საქმის კაცი, რომელმაც მართლაც გვიჩვენა გასაოცარი შრომის მოყვარეობა, თავდადება, და სტუმართმოყვარეობა- წლები მოანდომა სასტუმრო კკომპლექსის შექმნას, რომელიც გაოცებას იწვევს მნახველში.

ფოთს რომ გასცდებით, გურიის გზაზე ზღისპირას, თანამედროვე ტიპის დასასვენებელი სახლები შემოგხვდებათ,ნელ-ნელა მივიწევთ ევროპისაკენ, თუმცა, აქ ისეთი სილამაზეა ევროპა უნდა მოიჩქაროდეს ჩვენკენ- მზე, ზღვა, ჰაერი, ქვიშის ანდამატი-მკურნალი უკეთესი რაღა გინდა?!

უცებ ყურადღებას იპყრობს გზამკვლევი ,,ლაშთანი” - ერთი ლამაზი კომპლექსი, შესასვლელშივე შენარჩუნებულია ძველი ლანდშაფტი, პატარა ტბა ჭაობის ლაქაშებით და უცხო ყვავილებით.

სამსართულიანი ნაგებობა რესტორნითა და სასტუმროთი, კოტეჯებით, დამსვენებლებით, ზღვის სანაპიროზე გაფანტული მუსიკის ჰანგებით მართლაც, რომ მიმზიდველია.

ეს ჩვენი შეხვედრების უცვლელი ადგილია გურია-სამეგრელოს გზაგასაყარზე, მოფერების ადგილი და უცვლელი, კეთილი და მხიარული მასაპინძელი, იქაუროების ბატონ-პატრონი, ჩვენი ძმა და მეგობარი, ბატონი **შოთა მიქიაშვილი**.

ყოველი დაბადების დღე დიდი ნიშანსვეტია ქართველი კაცის ცხოვრებაში, მან იცის სიცოცხლის ფასი და ისიც იცის, რომ ადამიანები მარადიულები არა ვართ იმიტომ ცდილობს ბევრის გაკეთება მოასწროს და არგოს ქვეყანას, ოჯახს, შვილებს, ახლობლებს. ბატონ შოთას დაბადების დღე გამორჩეული ნიშანსვეტია, ახლობლები და მეგობრები ახვევია გარს. მისთვის არ იშურებენ სიყვარულს და მოფერებას, სადღეგრძელოებს და ლამაზი სიტყვებს.

თვალუწვდენელი ზღვა, ჩამავალი მზე, გემები და მოფარფატე თოლიები.

,,თასით ღვინო და ალალი მეგობარი, რას ინატრებს კაცი ამის უკეთესს”.- ის მართლაც მეგობრობის ეტალონია, გავიდა წლები და მოიტანა ბარაქიანი შემოდგომა, ერთი ალალი გემრიელი და მშრომელი კაცისა, მოგონების კასკადია მთელი ცხოვრება ოცნების ლამაზ ფერებში გახვეული, მაგრამ ეს გზაც არ ყოფილა მხოლოდ სიყვარულით გამთბარი, ვიდრე მზიანი დღე ამოანათებდა - ,,კაცმა ხე უნდა დარგოს, სახლი უნდა ააგოს და ოჯახი უნდა შექმნას”. ყველა მოთხოვნა აღასრულა, ქართული ადათწესების პატივისცემა, ქართველი კაცის ხასიათი ასე ძალუმად იკითხება მის პიროვნებაში. მთელი მისი ცხოვრება ალალი, შრომის, ძმობის, მეგობრობის ერთი დიდი საგალობელია, რომლის სიმები ცისარტყელად გაბმია წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

საყვარელ მეუღლესთან, **ირმა ქიქინაძესთან** გატარებული დღეები, ისევ ავსებს სიხარულით ამ დიდებული მამულიშვილის ცხოვრებას-შვილები ლაშა, თამარი და ნინო ამ დიდი გზის გაგრძელებაა- გაზაფხულივით ლამაზი და მარადიული, დედის ერთგულების, მამის ნატვრის ასრულებით გამორჩეული, იმედის მომცემი, თვალებბრიალა ახალგაზრდები.

ცხოვრების გზაგასაყარს, ცხოვრების შუადღეს ახალი საფიქრალი მოაქვს-ეს ქვეყნის ხვალინდელი დღეა. არც ეს გზა იქნება იოლი, იცის ეს ბატონმა შოთამ.

ამიტომ ვავლებ პარალელს ოჯახის, სამშობლოს და მოდგმის სამსახურს შორის- ბატონი შოთა ვალმოხდილია ღვთისა და კაცის წინაშე, ქართული სულით ამაღლებული ორთავე სოფელსა შინა.

ვცილდებით ერთმანეთს ისე, მომავალი შეხვედრის სურვილლით.

სტუმრები ნუ მოგიშალოთ ღმერთმა. გიმრავლოთ დაუვიწყარი მზიანი დღეები თქვენს ოჯახთან და ახლობლებთან ერთად.

დაე, ყოველთვის გეთქვათ: ,,ვლოცავ დღეს ჩემი გაჩენის, ბედნიერი ვარ მე! “

მეგობრები

---

მილოცვა

## ბელა და გოგი კვარაცხელიებს შვილების გაბედნიერების გამო

# ქართული ქორწილი - სიყვარულის დღესასწაული



თითქოს ბოლო დროს ქორწილები მინელდა საქართველოში, ახალგაზრდები ტოვებენ სამშობლოს და სხვაგან ეძებენ მომავალს, ასეთ დროს ძალიან გაგვახარა საქორწილო მოსაწვემა ლესალედან. ,,ფაზისის” საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ნუგზარ ნადარაია, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი გერონტი კუხალეიშვილი, აკადემიის ფოთის ორგანიზაციის კოორდინატორი, ბატონ ვაგნერ მხეიძე, აკადემიის ნამდვილი წევრი ბატონი ბეჟან ჯალაღანია და მე დათქმულ დროს გავუყევით გზას, რათა ეს დიდი სიხარული მიგველოცა ჩვენი დიდი მეგობრის ოჯახისა და ახლობლებისთვის.

გზად ბატონმა ნუგზარმა ხობის შინმოუსვლელთა დიდების მუზეუმში შეიარა, აინტერესებდა ახალი ექსპონატი, რომელიც აკადემიამ მუზეუმს გადასცა, როგორ იყო განთავსებული. ბევრი მუზეუმი მინახავს, მაგრამ დიდი სამამულო ომის ეპოქის ასეთი ასახვა და შინმოუსვლელთა ასეთი პატივგება დიდ ქალაქშიც არ მინახავს, სადაც საამისოდ ფინანსების მოძიება ნამდვილად არ გაუჭირდებათ. მუზეუმის წინ ღია თეატრონია 5 ათას კაცზე, აქ ტარდება მეგრული სიმღერის საერთაშორისო ფესტივალები, ახსოვთ ხობელებს რუსთაველის თეატრის, ,,ერისიონის”, სუხიშვილების სტუმრობა. ეს მხოლოდ ნაწილია იმ საქმეებისა, რაც ბატონ ნუგზარს ხობის თავკაცობის დროს ამ რეგიონში გაუკეთებია.

კარგა ხანს ვათვალიერებდი მუზეუმს-აქ ამ კუთხის ისტორიაც არის გადმოცემული და უნიკალური ექსპონატებითაა სავსე, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით.

გზადაგზა სხვა ჰაერი, სხვა განწყობა გვეუფლება, გვარიანად მაღლა ვართ ზღვის დონიდან, თუმცა, ზღვა - სიმწვანეა ირგვლივ, განსაკუთრებული, ჯანსაღი ჰაერითა და სიცოცხლით.

სოფელი ლესალე-ავ თვალს არ ენახვება, ისეთია, ყველგან იგრძნობა მეგრული კაცის მარჯვენა, ტრადიციული ეზოკარი, მაგრამ ბატონ გოგი კვარაცხელიას მამულმა მოლოდინს გადააჭარბა, - ძველებური ოდა სახლი, თანამედროვე კაპიტალური სახლი-გეგონება თავადების სასახლეა.

გახარებული გვეგებება გულღია მასპინძელი გოგი კვარაცხელია და მისი ოჯახი. ბატონმა ნუგზარმა ახლადდაქორწინებულებს საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II აღმაშენებლის ნაკურთხი ბიჭვინთის ღვმთისმშობლის დიდებული ხატი გადასცა. ბევრი ნაცნობი დაგვხვდა, მათ შორის პარლამენტარი ბატონი დავით ფაცაცია, ახალგაზრდა, ნიჭიერი პოლიტიკოსი, პატრიოტი კაცი; ,,ფაზისის” აკადემიის ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბატონი დავით ესებუა.

წინადღით ქორწილი დედაქალაქში გადაიხადეს, მაგრამ არც ოდაბადე დავიწყნიათ. ღმერთო უმრავლე საქართველოს ჯვრისწერა და სიხარული, როცა ორი ახალგაზრდის გული ერთი აზრით, სიყვარულით ერთიანდება, აქედან იწყება ღვთიური გზაც - მათე და ანა - დაგვირგვინდა ათწლიანი სიყვარული. რა სწრაფად გადის დრო - დრო შვილების ბუდიდან აფრენის, საქორწილო მოგზაურობით პარიზში მიდიან - პარიზი, დღესაწაული, რომელიც მუდამ შენთან არის. ჩვენც გზა დავულოცეთ ახალგაზრდებს.



იყო სადღეგრძელო, იყო ცეკვა და სიმღერა - დიდი კუჩხი ბედნიერი, იყო მომავალი შეხვედრების სურვილი.

ვათვალიერებ გორაზე გაშლილ კარმიდამოს-4 ჰექტარზე თხილის ნერგები, ფრინველებისა და საქონლის ფერმა, ყანები, ვენახები. მასპინძლის ხათრით გაჩერებული და ეჭვის თვალით მომზირალი ბომბორა მურიები, ნუთუ ერთმა კაცმა შეძლო ამდენის გაკეთება. შემრცხვა თითქოს დამნაშავედ ჩავთვალე თავი-ამის მეასედს როგორ არ უნდა აკეთებდეს კაცი, ორი ვენახი ვერ გადამიბამს ერთმანეთზე, დალევა იცოცხლე ჩვენ რომ ვიცით, ირგვლივ ღვინის და ვაზის სურნელია ,,ვაზო ასულო დალალდაწნულო”. ირგვლივ ზღაპრული ბუნებაა და ასეთი უამრავი გორაკია და როგორ გინდა თუნდაც რამდენიმე კაცი გოგი კვარაცხელიასავით მშრომელი იხილო ამ წალკოტში და ამ არემარეში, მაშინ ეშველება ამ ქვეყანას.

ახალი სახეები, ახალი ნაცნობები და ბოლოს განსხვავებული სადღეგრძელოც დავლიეთ-ეს ჩვენს ხელის ჩამორთმევას გაუმარჯოს!

წალენჯიხა ჩემი წინაპრების მხარეა, თითქოს სისხლის ყივილი ვიგრძენი, ერთმა მოხუცმა გაიხსენა ჩემი მომღერალი ბაბუა ძაკუ აბრალავა. ძალიან უყვართ თავიანთი კუთხის ისტორია - კოლხეთი-სამეგრელო. ,,ფაზისის” აკადემია ყოველწლიური გამოცემა- ჟურნალი ,,ცოტნეიდელი”, ბატონ გოგის ამოაქვს და ზოგჯერ ქსეროქსით ამრავლებს კიდეც. იდუმალებითაა მოცული კოლხეთის ისტორია, ენა, რომელიც ბიბლიის საიდუმლოებასაც ინახავს, სადღაც ახლოს მორაკრაკებს საწყისიდან მომდინარე წყარო - მარადიულობის ნიშანი.

დაე, ნუ გაწყდება სიცოცხლის ძაფი, იხარეთ და იმრავლეთ.

ამინ!

ზ. აბრალავა

# გიზო ხოშტარიას ხსოვნას



გარდაცვალება ადრე თუ გვიან ყველას ხვედრია, მარადიული უფალია, რასაც ვერ ერევა სიკვდილი ღვთის იმედით ვართ ორთავე სოფელსა შინა.

,,საცა აკვანი ითლების, იქვე სამარეც მზად არის”- უთქვამს ქართველ კაცს და ასეა ოდითგან, მაგრამ არის სიცოცხლე დაბადებიდან გარდაცვალებამდე, მთავარია,ვინ როგორ იყენებს მას. გიზო ხოშტარიას ცხოვრების გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი, თუმცა, ამ უდრეკმა კაცმა ცხოვრების ზღვა გადაცურა, წარმატებული სწავლით, შრომით, წვალებით მიაღწია ბევრ რამეს და დიდ ასპარეზზე გავიდა სრულიად ახალგაზრდა. არც თანამდებობა დაკლებია და არც დაფასება ხალხის და მთავრობისგან, მას ყველა იცნობდა როგორც მრავალმხრივ განათლებულ პიროვნებას, ინტელიგენტს, ჰუმანისტს, პატრიოტს, ნიჭიერ ორგანიზატორს, კარგ ხელმძღვანელს, დიდებული ოჯახის პატრონს, მეუღლეს, მამას, ბაბუას.

მოგონებებად შემორჩა ჩავლილი წლები ოჯახს, შვილებს, სამსახურს და მეგობრებს, როგორ უბრალო და უშუალო იყო, ეს მართლაც ბევრის დამტევი კაცი, უსაზღვროდ შეყვარებული ფოთსა და ფოთელებზე, სითბოს და სიყვარულს გასცემდა კეთილი სიტყვის და მოფერების გარდა სხვა არაფერი ახსოვთ მისგან თანაქალაქელებს. საინტერესო პიროვნება, კარგი მოსაუბრე იუმორით სავსე, ჩუმი და უპრეტენზიო, მაგრამ ყოველთვის დიდი საქმის მკეთებელი, ამიტომაც დააკლდა ქალაქს, ახლობლებს, მეგობრებს, უპირველესად ოჯახს, დიდებული მეუღლის შვილებს, რომლებიც სათუთად შეინახავენ მამის ხსოვნას.

,,ეს გზა მეც ვიცი საითკენ მიდის, შენ მხოლოდ ის გზა, ის გზა მითხარი”. უყვარდა ხშირად ამ ლექსის წარმოთქმა. უამრავი ფოთელი მოვიდა ამ დღეს, ბევრი ცრემლი გაყვა უკანასკნელ გზაზე. ადამიანები მარადიულები არა ვართ და ყოველი ახლობლის გარდაცვალება ამას გვახსენებს და უნდა ვეცადოთ, როგორმე მარტო არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე, რამეთუ ადამიანის სული ისე მძიმეა, ერთ კაცს მისი ტარება არ ძალუძს”...

სხვა რა დაგვრჩენია ჩვენო ძმაო და მეგობარო-ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

ღმერთს ებარებოდე სამუდამოდ...

მეგობრები

# კახა ხოჭოლავას ხსოვნას

## ,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა”...



ვერ გალია ბოლომდე ეს მართლაც წუთისოფელი. თუმცა, ბევრი რამ მოასწრო და პირნათელი მიეახლა უფალს, როგორც ერთი ალალ-მართალი კაცი, კეთილი, დიდბუნებოვანი, ყველას მოსიყვარულე და მომფერებელი, რამდენი რამ არის გასახსენებელი- კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი, თანაქალაქელი, პროფესიონალი, ხელოვნების დიდი ტრფიალი, დიდი ნიჭჭით და პასუხისმგებლობით სავსე კაცი, მართლაც სიყვარულისა და მეგობრობისათვის გაჩენილი, სტუმართმოყვარე, მუდამ ხალისიანი და მომღიმარი, მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ გააოგნა ყველა, სად კახა და სად არყოფნა, ვინ შეავსებს ამ სიცარიელეს ოჯახში, ძმაკაცებში, ახლობლებში.

საინტერესო და მრავალმხრივია მისი შრომითი ბიოგრაფია, წლების განმავლობაში დიდი წვლილი მიუძღვის საქალაქო ტელევიზიის საქმიანობაში, როგორც კარგ ტექნიკურ მუშაკს, შემდეგ თეატრში, კულტურის სახლში, იმოღვაწა, , ყოველი დიდი საქალაქო ღონისძიების მთავარი ოპერატორ-გამხმოვანებელი იყო, გემოვნებით, კულტურთ, ნიჭიერებით გამორჩეული.

კიდევ ბევრი კეთილი საქმის კეთება შეეძლო ამ მართლაც დევივით ვაჟკაცს, ბავშვის გულითა და უმანკოებით.

დიდხანს მოიგონებენ, ჭიქასაც წაუქცევენ და იქნება სინანულიც- ,,კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი”... სამწუხაროდ, დადგა მარადიული განშორების და ხსოვნაში დარჩენის დრო.

,,მშვიდობით, - ,,მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა”...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი დიდებული სული

მეგობრები

---



სამეფო ტახტის კოლხი აზნაური გეგენავების საგვარეულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 84 წლის ასაკში ქალაქ ნიჟნი ნოვგოროდში გარდაიცვალა გვარის ერთ-ერთი უხუცესი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, დამსახურებული და სახელოვანი ვეტერანი სამართალდამცველი, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსის ყოფილი მოადგილე, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, მილიციის პოლკოვნიკი **-გიორგი გრიგოლის–ძე გეგენავა.**

---

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით” რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვახტანგ გოგიშვილს ძმის,

**ნუგზარის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---



ლენა არჩაია-გეგენავასი, ინგა გვასალია-გეგენავასი, ელენე, თეკლე, პაატა გეგენავები, ნოდარ, დავით ჩოჩიები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ქალაქ სანკტ-პეტერბურგში 45 წლის ასაკში გარდაიცვალა ქალაქ სოხუმიდან დევნილობაში მყოფი, უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანი -

**სპარტაკი ნოდარის–ძე შალამბერიძე**

და გულითადად თანაუგრძნობენ თანგული შაქროს ასული ლაგვილავა-შალამბერიძის ოჯახს.

---

## ხსოვნა

# ომარ ზენაიშვი-



მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი ქალაქის სპორტის მესვეური და ორგანიზატორი ომარ ზენაიშვილი.

ის მკვიდრი ფოთელია. დაიბადა 1947 წელს. დაამთავრა ფოთის მე-2 საშუალო სკოლა და მთელი თავისი ცხოვრება იღვაწა თავის საყვარელ ქალაქში. მუშაობდა ელექტრომანქანურ გამაძლიერებლების ქარხანაში მომარაგების დარგის მეურნედ. მაგრამ მთელი თავისი მისწრაფება მაინც მიმართული იყო სპორტისკენ, სპორტული შეჯიბრებების და სპორტული საქმიანობის ორგანიზაციისაკენ. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში საჭადრაკო - საშაშო კლუბში ცნობილ პედაგოგ ავნერ ფეიდერთან ეზიარა შაშის თამაშს და ბოლომდის მისი ერთგული დარჩა. იმ წლებში ფოთელი მოშაშეები საქართველოს მუდმივი ჩემპიონები იყვნენ და მრავალ საკავშირო ასპარეზობებშიც უსახელებიათ თავი. ომარ ზენაიშვილი ამ შეჯიბრებებით ჯერ მონაწილე, ხოლო შემდეგ მისი ერთერთი ორგანიზატორი იყო. მას მინიჭებული ქონდა სპორტის ოსტატობის კანდიდატის და რესპუბლიკური მსაჯის კვალიფიკაცია.

ერთი პერიოდი ომარ ზენაიშვილი მუშაობდა სპორტსაზოგადოება ,,კოლმეურნის” ფოთის ორგანიზაციაში, მაგრამ მისი ორგანიზატორული ნიჭი უფრო გამოჩნდა, როდესაც ის სპორტსაზოგადოებამ ,,შევარდენის” რესპუბლიკური საბჭოს ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს. ქალაქში ჩატარდა რესპუბლიკური სპორტული შეჯიბრებები, რომელმაც გამოაცოცხლა ქალაქი.

ომარ ზენაიშვილი იყო ინიციატივიანი კაცი, მას ყველა საქმეში სიახლე შეჰქონდა, ვერ იტანდა უმოძრაობას და რუტინას, გამოირჩეოდა პატიოსნებით, იყო თავისი ქვეყნისა და ქალაქის დიდი პატრიოტი. იყო საოცრად გულწრფელი, გულიანი და ხალისიანი ადამიანი, ძნელად ნახავდი მასსავით კომუნიკაბელურ პიროვნებას.

შუა გზაზე შემოაღამდაო იტყვიან. მისმა უეცარმა გარდაცვალებამ ფართო საზოგადოების გულისტკივილი გამოიწვია. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ახლობლებისა და მეგობრების გულში.

მეგობრები.

---

უახლოესი მეგობრები: ნანი ბერაია, ლოლიტა ჩიქობავა, მანანა ბარამიძე, ჰამლეტ ჭანტურია, ედუარდ შონია, თენგიზ სარიშვილი, უშანგი გეგენავა, ზურაბ გულორდავა, ზაურ ოდიშარია ნიაზ ნანავა, ნუგზარ კალანდაძე, როლანდ ლაბარტყავა, იგორ ღურჯია, კახაბერ ლუხავა, კონსტანტინე სვანიძე, რუდოლ ხურცია, რევაზ ჩაგანავა, როინ მეტონიძე, ილია ქვარცხავა, ომარ ხუხუნი, ნუგზარ პატარაია ალექსანდრე გუბელიძე, მერაბ ჟვანია, დავით შავგულიძე, თამაზ ნაჭყებია, თორნიკე პატარაია, ჯუმბერ გულუა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, ფოთზე და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნება

**ომარ ზენაიშვილი**

რომლის სახელი დიდხანს დარჩება ფოთის სპორტულ საზოგადოებაში და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

# რობინი ბორისის–ძე გეგენავა

## „ეს გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დავიწყებას“



აგვისტოს თვე მიილევა მალე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ბრწყინვალე დღესასწაულის გამო მარიამობისთვე რომ დაარქვა ქართველმა ხალხმა. ვაგლახ, რომ დედაღვთისმშობლის მიძინების დღეს ამაღლდი 30 წლის წინათ - 1988 წლის 28 აგვისტოს დილას, სოხუმთან ახლოს, სოფელ წებელდასთან გზაზე ფეხით მიმავალ ვაჟკაცს წამოგეწია ულმობელი სიკვდილის მსახვრელი ხელი. მთელი აფხაზეთი დადგა ფეხზე შენს გადასარჩენად, დიდიან-პატარიანად სოხუმში ჩავიდა შენი დიდი დედულ-მამული, შენი დიდი სამეგობრო-საამხანაგო - ქართველები, აფხაზები, ბერძნები, რუსები და სხვა ეროვნების ვაჟკაცები, ვისთანაც ერთად სწავლასა და შრომით საქმიანობაში ღირსეული ავტორიტეტი, პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურე. ყველა მზად იყო თავისი სული და გული ენაცვლებინათ შენთვის, მაგრამ სიკვდილს ვერ აჯობე და მარადიულობაში გადახვედი.

ჩვენო რობინ, 30 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან და დღესაც ისევე გვტკივა შენი ჩვენგან წასვლა და ზეცად ამაღლება...

რამდენი ცოდვა-ბრალი დატრიალდა შენს სათაყვანებელ მრავალტანჯულ სამშობლოში. ვერაგმა მტერმა სისხლში აბანავა და ცეცხლს მისცა მთელი აფხაზეთი, სამაჩაბლო... სიკვდილმა წარგვტაცა შენი დედულ-მამულის საძმო-სამეგობროს და საახლობლოს უკეთილშობილესი ქალბატონები და ლომგული ვაჟკაცები, რომელთაც უფლისაკენ სავალ გზაზე შენ წარუძღვებოდი წინ.

ღმერთს ებარებოდე ჩვენო სახელოვანო, ვალმოხდილო და საყვარელო ვაჟკაცო. შენი დიდი გვარი სამარადჟამოდ შეინახავს შენს ნათელ სახეს.

კვლავ მუხლს ვიყრით, ჩვენო რობინ, შენს საფლავთან, მარადიული სიყვარულისა და არდავიწყების ნიშნად.

შენი გეგენავები

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო
ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა